სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 29 მაისი 2006 №120 (2742) ფასი 50 თეთრი

ზოგჯერ მაინც რა მრგვალია ბურთი: ქართველებს ჰქონდათ, სხვებს გაჰქონდათ

კოგა ინასარიძე ალტენკირხენი, დორნბირნი

1:3

საქართველოს ნაკრები გერმანული ალტენკირხენიდან გუშინ დილით აიბარგა და ავსტრიულ დორნბირნში კიოლნ-მიუნხენის გავლით გადაინაცვლა. დორნბირნი, რომელიც გერმანია-შვეიცარიის საზღვართან მდებარეობს, დაახლოებით იმხელა ქალაქია, რამხელაც ალტენკირხენი. თუმცა, როგორც მითხრეს, ქვეყნის ეკონომიკაში არცთუ უმნიშვნელო ადგილი აქვს. სამთო კურორტ ინსბრუკთან სიახლოვის გამო ტურისტთა სიმრავლითაც გამოირჩევა. დორნბირნი მოულოდნელი სუსხით და თავსხმა წვიმით დაგვხვდა. ჩვენები ქალაქგარეთა სასტუმრო „შერატონში" დაბინავდნენ.

ახალზელანდიელებთან მატჩის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი დატვირთვას მოარიდა და ვარჯიში არ ჩაუტარებია, თუმცა ამის ერთ-ერთი მიზეზი კოკისპირული წვიმაც იყო. სამაგიეროდ, ჰერ კლაუსმა გუშინდელი მატჩის ფირი მოითხოვა თამაშის გასარჩევად. წინასწარვე ცნობილია, რომ პარაგვაელებთან გოგა გახოკიძე და ლევან ცქიტიშვილი ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ და ტოპმიოლერმა მათი შეკრებაზე ყოფნა გუნდური სულის შენარჩუნების სურვილით ახსნა.

ყველა ქართველი ყველა ახალზელანდიელის უკან: კოვენიმ (№9) კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი უპრობლემოდ გაიტანა

ზვიადის ხანჯალმა ბრინჯაო გაჭრა

ქართულმა ძიუდომ ევროპაში პირველ-მესამეზე გაითვალა



გერმანელებისთვის თბილისი ევროპაა



ამხანაგური მატჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალტენკირხენი. 27 მაისი. 19 საათი. ცენტრალშტადიონი. 250

საქართველო 1:3 ახალი ზელანდია

0:1 კოვენი (41), 0:2 კილენი (43), 1:2 არველაძე (44), 1:3 კოვენი (51)

საქართველო:	ახალი ზელანდია:
ლომაია, მჟავანაძე (ხიზანეიშვილი 46), ხიზანიშვილი, კალაძე, კვირკველია (კანდელაკი 66), გოგუა (მუჯირი 55), კობიაშვილი, ასათიანი (იონანიძე 66), გიგიაძე (ალადაშვილი 46), არველაძე, დემეტრაძე (იაშვილი 46)	მოსი, ჰეი, ბუკენჰოოგი, ჰიკი, ოულდი, ვიკელიჩი, კრისტი, ბერტოსი, მალიგანი (ვებესტერი 68), კოვენი (სმიტი 66), კილენი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი	მწვრთნელი: კრისტიან ჰერბერტი

გაფრთხილება: გოგუა (42), ბუკენჰოოგი (42), ჰეი (57)

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

დაცვაში ბევრი ჰაერია

ტოპმიოლერმა ფარერები წყნარ ოკეანეში დაინახა

კობა ინასარიძე ალტენკირხენიდან

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი საშობლოში დიდი პატივისცემითა და ავტორიტეტით რომ სარგებლობს, ამას თქმა რად უნდა. თუმცა ქომაგობა მისი ახლანდელი გუნდის სანახავად შაბათს ალტენკირხენში თუ ჩამოვიდოდა, ნამდვილად არ გვეგონა. არადა, დაახლოებით ასი კაცი საგანგებოდ ჩამოსულიყო...

რა თქმა უნდა, იყვნენ „გერმანელი" ქართველებიც, მეტწილად კიოლნიდან და სტუდენტურ ქალაქ ჰაიდელბერგიდან, რომელსაც ალტენკირხენს 200-მდე კილომეტრი აშორებს.

...კიოლნიდან ალტენკირხენისკენ მიმავალმა საღგურის ბაქანზე ტალინში დაბადებული გერმანელი დევიდი გავიცანი. ჰამბურგიდან იყო და საქართველო — ახალი ზელანდიის მატჩზე მიიჩქაროდა.

— შეიძლება გაგიკვირდეს, მაგრამ ჰამბურგელი კაცი მიუნხენის „ბაიერნის" ქომაგი ვარ, ალტენკირხენში კი კლაუს ტოპმიოლერის და მისი გუნდის მხარდასაჭერად მივდივარ. „ბაიერნს" ვერც ერთ სხვა გუნდზე ვერ გავცვლი, თუმცა როცა ტოპმიოლერის გაწვრთნილი „ბოხუმისა" და, მით უმეტეს, „ლევერკუზენის" თამაშებს ვუცქერდი, ხანდახან „ბაიერნიც" კი მავიწყდებოდა — მითხრა დევიდმა და სულმოუთქმელად განაგრძო — სადღეისოდ, პირადად მე ტოპმიოლერი საუკეთესო გერმანელ მწვრთნელად მიმაჩნია. თავის დროზე კი კრისტოფ დაუმს ვაღმერთებდი. ფელიქს მაგათს, მათიას ზამერს და სხვა მწვრთნელებს კი, ვფიქრობ, ჯერ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი. ბუნდესლიგელი მწვრთნელებიდან ამჟამად თომას შაფი მომწონს, იურგენ კლინსმანის იმედი კი მე კი არა, მოლიანად გერმანიასაც აღარ აქვს...

აი, ასეთ ლაპარაკ-ლაპარაკში გართულები ჩავედით ალტენკირხენში და ნურც ჩემი გაგიკვირდებათ, დევიდის სიტყვებით საკმაოზე მეტად რომ დავიმუხტე. თანაც მანვე მითხრა, რამდენიმე ჩემი მეგობარი უკვე ალტენკირხენშიაო...

ბოდიში ოკეანელებთან, მაგრამ შანსს ახალი ზელანდია ამ პატარა ქალაქში კაციშვილს არ აინტერესებდა. ორი ლურჯი ვარსკვლავა დროშა ხუთრიგიან ტრიბუნაზე გაშლილი კი იყო, თუმცა მათი პატრონები, როგორც გაირკვა, ფეხბურთელთა ოჯახის წევრები ყოფილან.

და რაკი ნელ-ნელა თამაშსაც მივუახლოვდით, გეტყვით, რომ ანგარიშის შემხედვარე ნუ შეიქმნით წარმოდგენას ჩვენების თამაშზე. ეს მატჩი, ოდნავი გამართლების შემთხვევაში, სულ იოლად შეიძლებოდა, დიდი ანგარიშით მოეგოთ... ქართველებს, მაგრამ წააგეს.

...მატჩის დაწყებას 15-20 წუთი აკლდა, როცა ალტენკირხენში კოკისპირულად გაწვიმდა და მერე მთელი მატჩისას კი არა, მთელი დღე აღარ გადაუღია.

მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერს პირველად მიეცა მეტ-ნაკლებად ოპტიმალური შემადგენლობით თამაშის საშუალება — მისი ხელმძღვანელობით ხომ პირველად ითამაშეს შოთა არველაძემ, კახა კალაძემ, გიორგი დემეტრაძემ, ოთარ ხიზანეიშვილმა, და-

ვით კვირკველიამ, ალექსანდრე იაშვილმა და შეცვლაზე შესულმა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელმა. ჰოდა, ახალი მწვრთნელის ხელში მათ დებიუტს ურიგო როდი ეთქმის. თავად განსაჯეთ, ნამატჩევს ერთმა გერმანელმა კოლეგამ ის პროცენტული მაჩვენებელი მანახა, ბურთის ფლობის უპირატესობას რომ განსაზღვრავს: ჩვენების 70 პროცენტი ახალზელანდიელთა 30-ის საპირისპიროდ — ასეთი იყო ეს მაჩვენებელი; კარში დარტყმა: 8-4; კარისკენ დარტყმა 12-3. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩვენების უპირატესობა თვალსაჩინო იყო და მხოლოდ საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა სხვანაირი, რაც მოსამზადებელი მატჩის კვალობაზე ბევრსაც არაფერს უნდა ნიშნავდეს... თუმც ისიცაა, რომ ამ წაგებით ჩვენები ფიფას რეიტინგში ალბათ კიდევ დაქვეითდებიან.

ტოპმიოლერისგან 4-3-3 სქემას უკვე ნაჩვევნი ვართ და მას არც ამჯერად გადაუხვევია გზიდან. ეგ იყო, მატჩისას ფეხბურთელებს რამდენჯერმე შეუცვალა სათამაშო პოზიცია და ისიც კი ვნახეთ, როგორ გადაინაცვლა გამთამაშებლის პოზიციიდან მარცხენა ჰავბეკად მალხაზ ასათიანმა. როგორც ყოველთვის, მალხაზი ამ მატჩშიც საკმაოდ ეფექტური იყო, თუმცა, როგორც მერე თავადაც და მწვრთნელმაც თქვეს, მოუმზადებლობის ფონზე კიდევ კარგად ითამაშა. ეს კარგი თამაში კი, მოკლედ რომ ვთქვათ, ასე გამოიხატა — ასათიანის ბურთთან ყოველი შეხება მეტოქის კართან უმწვავესი შეტევით მთავრდებოდა. თუმცა ის საგოლე პასი, რის შემდეგაც შოთა არველაძემ მორიგი სანაკრებო გოლი მიითვალა, კახა კალაძემ გააკეთა. თანაც სწორედ ისეთი, „მილანის" ფეხბურთელს რომ ეკადრება: სამ მცველს შუა მიაწოდა შოთას, რომელიც მეკარესთან პირისპირ დარჩა და, რაღა თქმა უნდა, გატანა არ გასჭირვებია. ეს ამბავი ტაიმის ბოლო წუთზე მოხდა და ამ ეპიზოდამდე ჩვენებს უკვე ზედიზედ ორი გოლი ჰქონდათ გაშვებული...

ვფიქრეთ, ტაიმის ბოლოს გატანილ გოლს ჩვენები მეორე ტაიმში კიდევ რამდენიმეს მიაყოლებდნენ, მაგრამ... შოთა არველაძეს, მალხაზ ასათიანს, გიორგი დემეტრაძეს იქამდე ოდნავ რომ გამართლებოდათ, ასეთ მოლოდინამდე საქმე აღარც მივიდოდა. სამაგიეროდ კი, ჩვენების დაცვა ძალიან ანერვიულა ოკეანელთა სამი ევროპელი ლეგიონერიდან ერთ-ერთმა, შოტლანდიური „ჰიბერნიანის" აყლაყუდა თავდამსხმელმა კრის კილენმა. მან ერთი გოლი თავად გაიტანა, ორიც თავდასხმაში მეწყვილე კოვენის გაატანინა.

შესვენების შემდეგ ახალზელანდიელებმა ჩვენების კარში ერთხელ დაარტყეს და გაიტანეს, მეტი კი ოკეანელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ ანგარიში შეინარჩუნეს და თითქმის მთელი ტაიმი საკუთარ ნახევარზე გაატარეს.

საპასუხოდ ჩვენებმა ხუთი-ექვსი ნაღდი მომენტი შექმნეს, თუმცა ისეთი პოზიციებიდან გაუცუდდათ დარტყმები, ერთი შეხედვით, აცილება უფრო ძნელი რომ ჩანს ხოლმე. ეს ნაკლი კი *კლაუს ტოპმიოლერმა* მატჩის შემდეგ ჩვენთან საუბარშიც საგანგებოდ აღნიშნა: „დამამთავრებელ ფაზაში სიზუსტე გვაკლია და ეს სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ. ასათიანს, ხიზანიშვილს, იაშვილს ნაღდი მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. თუმცა დადებითია ის, რომ ფეხბურთელებმა ყველა ეს მომენტი ლამაზი და გონივრული კომბინაციით შექმნეს. ზედმეტად ბურთს არავინ იჭერდა და მწვავე პასებიც ერთი შეხებით კეთდებოდა" — გვითხრა ტოპმიოლერმა.

აღსანიშნავია შოთა არველაძის ძალიან კარგი თამაში. თუ ახალ ზელანდიასთან მატჩით ვიმსჯელებთ და ამ ფეხბურთელის შესაძლებლობებსა და თამაშის მანერასაც გავითვალისწინებთ, ტოპმიოლერი მომავალში თავდასხმას ალბათ შოთაზეააწყობს. შაბათს კი თავდასხმაში თამაში მასთან ერთად ვასილ გიგიაძემ და გიორგი დემეტრაძემ დაიწყეს. გიგიაძემ თავდაუზოგავად იშრომა, ხოლო დემეტრაძემ თავისი მოქნილობით მეტოქე რამდენჯერმე გააბითურა.

როგორც უმაღლესი დონის ფეხბურთელსა და დიდ პროფესიონალს ეკადრება, ამჯერადაც ისე გამოიყურებოდა საყრდენ ნახევარმცველად მოთამაშე ლევან კობიაშვილი. სხვა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად ის თვალში ხშირად არ გვხვდებოდა, მაგრამ მოედნის შუაგულში უდიდეს სამუშაოს ასრულებდა. მისი ნაკლები ვიზუალური ეფექტი კი, ვგონებ, მალხაზ ასათიანის გამთამაშებლად დაყენებამ გამოიწვია — სწორედ ის იყო პასების დამრიგებელი. გოგიტა გოგუა, როგორც ყოველთვის, შეუპოვრობით გამოირჩეოდა და კინკლაობისთვის ყვითელიც მიიღო.

ახალზელანდიელებთან შეხვედრისას ჩვენებს ყველაზე მეტი პრობლემა დაცვაში ჰქონდათ, რითაც მეტოქემ ჩინებულად ისარგებლა, თორემ სამიდან არც ერთი გოლი ახალზელანდიელებს თავიანთი ოსტატობით არ გაუტანიათ. ჯერ იყო და, კოვენის ბურთი დასარტყმელად დაახვედრეს და მანაც მახვილი კუთხიდან ტყვიასავით გაისროლა, მერე კილენმა საჯარიმოს წინა ხაზთან გაკეთებული უზუსტო პასით ისარგებლა, ბურთი ჩაჭრა და კარიდან გამოსულ გიორგი ლომაიას თავზე გადაუგდო. მესამე გოლისას კი ჩვენებმა მეტოქეს კუთხურის თავისუფლად გათამაშების საშუალება მისცეს და საჯარიმოში უყურადღებოდ დარჩენილმა კოვენიმ თავით შეაგდო.

სიტყვამ მოიტანა და, ახალზელანდიელები აღნაგობით უფრო კალათბურთელებს წააგავდნენ, ვიდრე ფეხბურთელებს.

— ვარჯიშისას მეტი ყურადღება სწორედ დაცვის ხაზის შეთანხმებულ მოქმედებაზე გადავიტანეთ. უნდა ვეცადოთ, მცველებს შორის მანძილი მაქსიმალურად შევამციროთ და მათი ყველა ნაბიჯი სინქრონული იყოს. რა თქმა უნდა, ასეთ დროს სიზუსტეც აუცილებელია — აი, კლაუს ტოპმიოლერის კიდევ ერთი კომენტარი.

ახლა კი ჩვენების გამოუყენებელ მომენტებზე, თუმცა აქვე ისიც დავძინოთ, რომ საწყის ოც წუთში მოედანზე საინტერესო არაფერი მომხდარა. ერთი ის იყო, რომ კილენის შორიდან დარტყმული ლომაიამ იოლად მოიგერია.

პირველი და ნაღდი მომენტი მალხაზ ასათიანს ჰქონდა, მაგრამ ჭვინტით მისი დარტყმული კარს ოდნავ ასცდა. მალხაზმა კი ბურთი კობიაშვილ-დემეტრაძე-არველაძის სხარტად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ მიიღო, ერთი მცველი ჩამოიშორა და ის იყო, მშვიდად უნდა დაერტყა, კრისტიმ დაუპირა დაფარება და მალხაზმაც ჭვინტი იხმარა. ამ ეპიზოდიდან წუთიც არ გასულიყო, როცა შოთა არველაძე მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩა, მაგრამ მეტად ხელსაყრელი პოზიციიდან კარს გადააცილა. სამი წუთის შემდეგ უკვე თავად არველაძემ შეუქმნა გოგუას დასარტყმელად იდეალური პოზიცია — კარიდან 7-8 მეტრში შოთამ გოგიტას ბურთი მკერდით დაუგდო, გოგუამაც შეუჩერებლად და ძალიან ძლიერად დაარტყა. ოკეანელთა ბედად, ბურთი მოსს მხარზე მოხვდა. იქვე დემეტრაძის მწვავე, ფლანგური ჩაწოდება იყო, რამდენიმე ჩვენიანს ბურთამდე სულ ცოტა დააკლდა, ბურთმა კი კართან ჩაიქროლა. მერე ჩვენებმა კუთხური ჩააწოდეს. ბურთს ხიზანიშვილი შესწვდა — მეკარემ ფეხებით აული, მაგრამ დატბორილ მოედანზე ბურთი იქვე გაჩერდა. სამწუხაროდ, დამმატებელი არავინ გამოჩნდა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ჯერ კალაძემ, მერე კი ასათიანმა ძალიან სახიფათოდ დაარტყეს. მოსი თავდაჯერებული იყო — ორივეჯერ სველი გაზონიდან ასხლეტილი ბურთი ხელებში გააქვავა. მოგვიანებით ჩვენების ერთი ლამაზი კომბინაციაც იყო, რომელიც ალექსანდრე იაშვილმა წამოიწყო და თავადვე დაასრულა, მაგრამ კარს სასწაულებრივად აცილა. იაშვილმა მოედნის ცენტრიდან არველაძეს მიაწოდა, მან ფლანგზე კახა ალადაშვილს, რომელიც შურდულივით შევარდა საჯარიმოში და დაბალზე ჩააწოდა. ილია კანდელაკმა ვარდნაში დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა, იაშვილი კი ლამის ერთი მეტრიდან ამატებდა — ბურთის მეკარისთვის გადაცილება სცადა და კარსაც გადააცილა. სულ ბოლოს კი ისევ ზურაბ ხიზანიშვილი ჩაერთო შეტევაში და კარგ პოზიციაზეც გავიდა. დაარტყა კიდეც, მაგრამ ბურთმა ძელს ჩაუარა...

აი, ყველა ის მომენტი, რომ იტყვიან, ასპროცენტიანი საგოლეო, დაახლოებით ორი ამდენი კი ჩვენებმა ნახევარმომენტი გააფუჭეს.

— საქართველოს ნაკრები 16 აგვისტოს გაცილებით კარგ ფორმაში იქნება, ვიდრე დღეს იყო. ახლა სწორედ ფარერებთან მატჩზე ვფიქრობ და გუნდის შეთამაშებას ვცდილობ. ამისთვის კი ვარჯიშებიც ძალიან მნიშვნელოვანია და სათამაშო პრაქტიკაც. რამდენიმე პოზიციაა ჩამოუყალიბებელი და ფეხბურთელთა ძიებაში ვართ — ეს ისევ ტოპმიოლერის სიტყვებია.

აშკარად ჩანდა, რომ ახალზელანდიელები ფიზიკურად ჩვენებზე უკეთ იყვნენ მომზადებულნი, რაც არ მიკვირს. ისინი ერთი თვეა, შეკრებაზე არიან, შვებულებიდან გამოსულმა ქართველებმა კი ერთად ორჯერ თუ ივარჯიშეს და ასე სწრაფად კონდიციების აღდგენა ვერ მოახერხეს.

ახალზელანდიური რეკორდები და ცხენები

ახალი ზელანდიის გამარჯვებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა ზელანდიაში და იქაურ პრესაში. ახალზელანდიელებმა ამ გამარჯვებას ისტორიული უწოდეს და აი, რატომ — ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები ევროპულ ნაკრებს მეჩვიდმეტედ შეხვდა და პირველად გაიმარჯვა.

დამყარდა კიდევ ერთი რეკორდიც — ფორვარდი ვოუგენ კოვენი ზელანდიის ნაკრების მთავარმეგოლე გახდა — 34 წლის კოვენმა საქართველოს ორი ბურთი გაუტანა და ნაკრებში 29 გოლი დაუგროვდა. იგი 34 წლისაა და სამი დღის წინ ახალი ზელანდია უნგრეთთან ბუდაპეშტში 0:2 რომ დამარცხდა, არ უთამაშია.

ახალზელანდიური მედია იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ფიფას რეიტინგში 118-ე ადგილზე მყოფმა ოკეანელებმა 101-ე ადგილზე მყოფ საქართველოს მოუგეს.

„ეს უდიდესი შედეგია ჩვენი გუნდისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის“ — უთქვამს ნამატჩევს კოვენის.

ერთ-ერთი ზელანდიური ვებ-გვერდი ამ შეხვედრაში გასულ გოლებს ასე აღწერს: ცენტრალურმა მცველმა სტივენ ოლდმა ბურთი ისე გადააწოდა კოვენის, რომ მას სივრცე შეუქმნა და ფორვარდმაც მარცხნიდან გაუტანა ქართველთა მეკარე გიორგი ლომაიას; „ჰიბერნიანის“ თავდამსხმელმა კრის კილენმა კოვენის გოლიდან ორ წუთში საჯარიმო მოედნის ხაზიდან გაუტანა ლომაიას მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაკრების კაპიტანმა და „მილანის“ ცენტრალურმა მცველმა კახა კალაძემ მეკარე გლენ მოსის პასი ვერ ჩაჭრა; ახალი ზელანდია შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე დაისაჯა, როცა ალკმაარელმა შოთა არველაძემ მოსს მოუთავა საქმე კალაძის ჭკვიანური პასის შემდეგ; კოვენიმ, რომელსაც ნაკრებში 2004 წლის შემდეგ არ გაეტანა გოლი, ქართველების კარში თავისი მეორე ბურთი დავიდ მალიგანის პასით შეაგდო.

იგივე ვებ-გვერდი იმასაც წერს, რომ ქართველები ხშირად ზეწოლის ქვეშ აქცევდნენ მეტოქეს, მაგრამ ახალი ზელანდია იმ შეცდომებს აღარ უშვებდა, სამი დღის წინ რომ წააგებინა ბუდაპეშტში.

კოვენის გარდა ზელანდიური მედია აქებს ჯერემი კრისტის და დევიდ მალიგანს — ნახევარდაცვაში მუშა ცხენებივით გაისარჯნენო. შეაქეს მცველ დენი ჰიკიც — ყველა საჰაერო ორთაბრძოლა მოიგოო.

კოვენის ეს სიტყვები კი რამდენიმე ახალზელანდიურმა გამოცემამ გამოაქვეყნა: „ჩვენ ახალგაზრდული გუნდი გვყავს, რომელსაც დიდი პოტენცია აქვს. ჩვენ ვეთამაშეთ ფეხბურთელებს, რომლებიც წამყვან ევროპულ ლიგებში თამაშობენ და არა მგონია, მათ ბევრით ჩამოვრჩებოდეთ“.

ყველაფერი ეს ალტენკირხენში მოხდა, კიოლნიდან 70 კილომეტრის მოშორებით სოფელში, სადაც 7 000 კაცი ცხოვრობს და რომელთაგან რამდენიმე ათეულმა ინება ამ მატჩზე მოსვლაო — იტყობინებიან ახალზელანდიელები.

ნიკა ჯორჯაძე

მეტალისტი ჯაკობიაში ზედმეტს ითხოვს

მსაჯების სიმპათიები და სხვადასხვა მიზნები

ხარკოვის „მეტალისტის“ კაპიტანი და საქართველოს ეროვნული ნაკრების ფორვარდი ლაშა ჯაკობია ახლა თბილისშია. ის ნაკრებში იყო გამოძახებული, მაგრამ ტრავმის გამო ვერ მოახერხა სანაკრებო შეკრებაზე გამგზავრება. მასთან საუბარიც აქედან დავიწყეთ...

— ნაკრებში რა ტრავმის გამო ვერ წახვედი?

— ფეხის უკანა კუნთზე მყესი გამიწყდა, შემდეგ დამეჭიმა კუნთი და ასეთ სიტუაციაში დასვენება აუცილებელი იყო.

— უკრაინაში სეზონი რომ მთავრდებოდა, მაშინ გვითხარი, „მეტალისტში“ დარჩენა აღარ მსურსო — ახლა რას აპირებ?

— ისევ ამ აზრზე ვარ, „მეტალისტიდან“ წასვლა მინდა, მაგრამ კონტრაქტით კლუბს კიდევ ხუთი თვე ვეკუთვნი. 80 პროცენტით შემიძლია ვთქვა, რომ „მეტალისტიდან“ წავალ.

— ალბათ, უკვე გაქვს რამდენიმე ვარიანტი...

— უკრაინის უკეთესი გუნდები, რუსეთი... მქონდა საფრანგეთის პირველ დივიზიონში გადასვლის შანსიც, მაგრამ ეს გუნდი საშუალო შემლებისაა და სატრანსფერო თანხის გადახდა ეძვირა.

— „მეტალისტმა“ არარეალური ფასი დაგადო?

— „მეტალისტი“ ჩემში ცოტა ზედმეტს ითხოვს.

— ხარკოველები კონტრაქტის გაგრძელებასაც გთავაზობენ...

— ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვუთხარი და ამის გამო წინა სეზონის რამდენიმე შეხვედრის განაცხადშიც კი არ შემიყვანეს.

— ბევრს არ ეგონა, თუ ტრავმებისგან გატანჯული ჯაკობია კიდევ შეძლებდა მაღალ დონეზე თამაშს — როგორ მოახერხე თითქმის გამოუვალი მდგომარეობის დაძლევა?

— 1999 წელს ბელგიურ „სტანდარდში“ რომ მივიღე ტრავმა, იქიდან 2003 წლამდე ოთხი ოპერაცია გავიკეთე. პირველად საზარდულის და თიაქრის, მერე იგივე ოპერაცია ხელმეორედ გავიკეთე, შემდეგ კვლავ გამიმეზეზდა საზარდული და ისევ ოპერაცია. მეოთხე ოპერაციის შემდეგაც მაწუხებდა საზარდული, მაგრამ სასწაული მოხდა და ტკივილმა გამიარა. შემეძლო ბელგიაში დარჩენა, თუმც ფსიქოლოგიურად ისე ვიყავი, რომ შინ დაბრუნება მინდოდა.

— და მოხვდი ივო შუშაკის გაწვრთნილ „დინამოში“ — რატომ გაგიჭირდა იქ ფეხის მოკიდება?

— გარდა იმისა, რომ კარგა ხანი გაცდენილი მქონდა ტრავმების გამო, თამაში არ მიწევდა. გადავედი ბერძნულ „იანინაში“, 7-8 მატჩი ვითამაშე და ამან ძალიან კარგად იმოქმედა ჩემზე — საფეხბურთო შეგრძნებები დამიბრუნდა.

— ახლა როგორ ატყობ — ყველაფერი აღდგენილი გაქვს?

— ფიზმომზადების მხრივ კი, მაგრამ ბევრ საგოლე მომენტს ვქმნი და ვერ ვიყენებ — საგოლე ალღო ბოლომდე ჯერ ვერ აღვიდგინე, ამას კიდევ დასჭირდება დრო.

— „მეტალისტის“ კაპიტნად რომ აგირჩიეს, ეგ როგორ მოხდა?

— ჩემი თამაშიდან და იქიდან გამომდინარე, თუ როგორი ვარ მოედნის მიღმა — „მეტალისტში“ ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და გულშემატკივრებსაც გამორჩეულად ვუყვარვარ. „მეტალისტის“ საშინაო მატჩებზე კი თითქმის სულ ოცი ათასი მაყურებელი დადის.

— უკრაინის ჩემპიონატში ბოლო დროს რა ტენდენციები იკვეთება?

— უკრაინის ჩემპიონატი დონით ევროპის წამყვან ლიგებს კი ჩამოუვარდება, მაგრამ, მაგალითად, ბელგიის და შვეიცარიის ჩემპიონატებზე მაღლა დგას. „დინამოს“ და „შახტარის“ შემდეგ ქვეყნის მესამე გუნდად „დნიპრო“ ითვლება მიუხედავად იმისა, რომ მესამე ადგილზე „ჩერნომორეცი“ გავიდა. ფინანსებით კი „შახტარისა“ და „დინამოს“ შემდეგ „მეტალურგი“ მოდის. უკრაინაში კიდევ არის რამდენიმე გუნდი, „შახტარისოვის“ ღა „დინამოსთვის“ ქულების არიმევა რომ შეუძლიათ, მაგრამ ამათ საჩემპიონო დავაში ჯერჯერობით ვერავინ ჩაერევა, თუნდაც იმიტომ, რომ მსაჯების სიმპათიებიც ამ გუნდებისკენაა.

— თუ გუნდი ორი ან სამი თავდამსხმელით თამაშობს, ცენტრფორვარდი ხარ?

— ორი ფორვადით ვთამაშობთ, მაგრამ მე ბურთის წართმევაც მიწევს და შეტევის დაწყებაც, რადგან სათანადო გამთამაშებელი არ გვყავს. ეს კიდევ ერთი მიზეზია, ბევრი გოლი რომ ვერ გამაქვს.

— როგორც ცნობილია, უკრაინული საფეხბურთო კლუბები მეტწილად არარენტაბელურები არიან — ფეხბურთში ფულის ჩამდებ ხალხს რა ინტერესი აქვთ?

— უკრაინაში ეს სხვადასხვა მიზეზის გამო ხდება. მაგალითად, „მეტალისტი“ უკრაინაში ერთ-ერთმა მდიდარმა კაცმა იარონლავს კიმ იმიტომ იყიდა, რომ დეპუტატობა სურდა. — მანაც ჯერ „მეტალისტი“ იყიდა და მალე დეპუტატიც გახდა...

დავით თამართაძილაძე

სვენ გორან ერიკსონი საქართველოსაც ნახავსო

საქართველოს ნაკრებთან შეხვედრამდე ანიბალ რუიზის გაწვრთნილმა პარაგვაიმ დანიასთან სტუმრად 1:1 ითამაშა. ორჰუსში გამართულ მატჩში დანია მე-6 წუთზე იონ დალ ტომასონის გოლით დაწინაურდა და მე-19 წუთზე პარაგვაელთა ვეტერანმა ფორვარდმა ხოსე კარდოსომ 7-8 მეტრიდან დარტყმით გაათანაბრა.

ამ შეხვედრაში სამხრეთამერიკელთა რიგებში 17 წლის ხოსე მონტიელმა ითამაშა და ძალიან კარგადაც.

პარაგვაელთა შემადგენლობა ასეთი იყო: *ბობადილა; კანისა (კასერესი 78), და სილვა, მანსური, ნუნიესი; გავილანი (ბონეტი 65), აკუნია, მონტიელი (რივეროსი 70), დოს სანტოსი (პარედესი 58); კუევასი, კარდოსო (კაბანასი 55).*

სხვათა შორის, ამ თამაშს ინგლისის ნაკრების თავკაცი სვენ გორან ერიკსონიც დაესწრო — პარაგვაი ხომ ინგლისის მეტოქეა მუნდიალის B ჯგუფში. დიდი შანსია, ერიკსონი 31 მაისს დორნბირნშიც იჯდეს ტრიბუნებზე და პარაგვაი — საქართველოს მატჩი იხილოს.

ილია ნანობაშვილი

AFP

სიონმა ბოლნისში უცხადაძეოდ დაიწყო

აფრიკა ისევ ვიზას ელის

ბოლნისის „სიონს“ ისტორიული ზაფხული ელის — პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და რა გასაკვირია, რომ სხვა ქართულ გუნდებზე ადრე დაიწყო შეკრება. კახა ცხადაძის გუნდი შაბათს ბოლნისში შეუდგა ვარჯიშს, ოღონდ ცხადაძის გარეშე — იგი კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზეა თბილისში.

ქვემოქართლური კლუბი ოთხმა მოთამაშემ დატოვა: ორივე უკრაინელის, ალექსანდრ გურბიენკოსა და ევგენი ლაშჩუკის კვალად, „სიონიდან“ გაუშვეს ირაკლი სირბილაძე და ბეგლარ თედორაძე. „სიონის“ გენერალურ მენეჯერ ჯემალ ჭიპაშვილის თქმით, სხვა არც ერთ ფეხბურთელს არ გამოუთქვამს გუნდიდან წასვლის სურვილი.

რომც არავინ წავიდეს, ბოლნისელებს აუცილებლად სჭირდებათ გაძლიერება. ჭიპაშვილის ცნობით, ქართული კლუბებიდან ნარჩევი ფეხბურთელების დამატებაზე მიდის მოლაპარაკებები — ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის „სიონი“ გვარიანად გაძლიერებული იქნებაო...

გარდა ამისა, „სიონი“ საგარეო საქმეთა სამინისტროდან ყოველდღე ელოდება ვიზებს — გეცოდინებათ, ბოლნისში სამი კამერუნელი და ერთი ნიგერიელი ფეხბურთელი უნდა ჩამოვიდეს. მათ ჯერ გასინჯავენ და შემდეგ, ვინ იცის...

15 ივნისს კახა ცხადაძის გუნდი იალტაში გაემგზავრება და იქ ორ კვირას დაყოფს. და, ცხადია, გრძელდება „თამაზ სტეფნაძის“ სტადიონის რეკონსტრუციაც, თუმცა ნაკლები შანსია, „სიონის“ საჩემპიონთალიგო მატჩის ჩატარება იქ მოესწროს — სავარაუდოდ, შეხვედრა თბილისში, „მიხეილ მესხზე“ გაიმართება.

ილია ნანოგაფშვილი

ბადრი ჯეფილაძის ფოტო

ფეხბურთის თამაში, ფაქტობრივად, ერთად დაიწყეს, „ამერშიც“ ერთ სეზონში ჰქონდათ დებიუტი და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებშიც გვერდიგვერდ უწევთ გამოსვლა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ზურაბ გვაძაბიას და დავით მჭედლიშვილს ერთად გავსაუბრებოდით...

ალექსანდრ ფოფალაშვილი ფოტო

ამერის 18 წლის ვეტერანები

ზურა: უკვე ხუთი წელია, „ამერში“ ვართ. 13 წლისებმა „ამერის“ ბავშვთა გუნდ „მარდში“ ერთად დავიწყეთ თამაში და დიდ გუნდშიც ერთად გადავედით.

— დიდ გუნდში დებიუტი როდის გქონდათ?

დათო: პირველ ლიგაში „ამერის“ სადებიუტო შეხვედრა იყო 2003-04 წლების სეზონში და მაშინ ვითამაშე.

ზურა: იმავე სეზონში „ზესტაფონთან“ მატჩში მქონდა დებიუტი — 5:0 მოვიგეთ.

— წლეულს ხშირად არ გიწევდათ თამაში...

ზურა: ექვს თუ შვიდ მატჩში მივიღე მონაწილეობა, აქედან ორჯერ სასტარტო შემადგენლობაში ვიყავი.

დათო: მეც ამდენივე თამაში მექნება, სასტარტოში კი ერთადერთხელ ვიყავი — ბოლნისის „სიონთან“ მატჩში.

— 19-წლამდელთა ნაკრების წევრები ხართ და, ბუნებრივია, ხშირად თამაშის ამბიციაც გაქვთ. შეძლებთ კონკურენციის დაძლევას?

ზურა: შეიძლება, დიდი კონკურენცია არ იყოს, ერთ პოზიციაზე ოთხი და ხუთი ფეხბურთელი არ ვართ, მაგრამ, რაც მთავარია, ჯანსაღი კონკურენციაა — გამოცდილი თანაგუნდელების გვერდით ყოველდღიურად რაღაცას სწავლობ.

— „ამერთან“ როდემდე გაქვთ კონტრაქტი?

დათო: ერთნაირი კონტრაქტები გვაქვს, სამწლიანი იყო და ერთი წელი დაგვრჩა. ზურასას ვერ გეტყვით, მაგრამ თუ გაგრძელებას შემომთავაზებენ, დავთანხმდები.

ზურა: რა თქმა უნდა, მეც.

— წლევანდელ სეზონში ყველაზე მეტად რომელი მეტოქე მოგეწონათ?

დათო: მეორე წრეში „ზესტაფონი“, პირველ წრეში კი „ლოკომოტივი“ იყო ძალიან კარგი, შეკრული გუნდი.

— „ამერის“ საუკეთესო მატჩი რომელი იყო?

ზურა: რა თქმა უნდა, თასის ფინალი. ამას გარდა კი ორ მატჩს გამოვარჩევ: პირველ წრეში საშინაო შეხვედრაში „ზესტაფონს“ 2:0 მოვუგეთ, მეორე წრეში კი სტუმრად „დინამო“ 2:1 დავამარცხეთ.

— ნაკრებზეც ვთქვათ. სლოვაკეთიდან კმაყოფილები ვერ დაბრუნდებოდით...

დათო: გამოჩნდა, რომ შეთამაშება გვაკლდა, ფიზიკურადაც ვერ ვიყავით სათანადოდ მომზადებულები და სათამაშო დისციპლინაც არ გვივარგოდა. ცუდი შედეგიც ამის ბრალი იყო.

ზურა: ცხრამეტწლამდელთა დღევანდელი ნაკრების ძირითადი ბირთვი ბავშვობიდან ერთად მოვდივართ და ყოველთვის ეს იყო ჩვენი კოზირი. ახლა უკვე სხვადასხვა გუნდებში გავიფანტეთ და ისე შეთამაშებულები ვეღარ ვართ.

— ნუთუ იგივე თურქეთის ნაკრები ამდენით არის წინ, 6:0 რომ მოგიგოთ?

დათო: თურქებთანაც და სლოვაკებთანაც ბავშვური გოლები გავუშვით, ჩვენი შანსები კი ვერ გამოვიყენეთ. სათამაშო პრაქტიკა აშკარად გვაკლდა.

ზურა: ნაკრების ბევრ ფეხბურთელს არ აქვს კლუბში ჩვენნაირი პირობები და სრულყოფილად მომზადებულები ვერ მოდიან შეკრებაზე. წარუმატებლობის მიზეზი ესეც მგონია.

— ანგარიშების მიხედვით, მატჩიდან მატჩამდე უმატებდით...

დათო: ასეც იყო. მესამე მეტოქე ირლანდია ძალიან ძლიერი იყო ფიზიკურად, მაგრამ ტექნიკური მომზადებით ვაჯობეთ, თამაშით კი ცუდად არც სლოვაკებთან გვითამაშია.

ზურა: მე თუ მკითხავთ, ირლანდია სლოვაკეთზე ძლიერიც იყო. უბრალოდ, სლოვაკებთან პენალტი გავაფუჭეთ, მერე კი, როცა ერთი ბურთი გავქვითეთ, თამაშის შემოტრიალება გვიანი იყო.

— თეორიულ მეცადინეობებზე ტოპმიოლერებიდან ვინ უფრო აქტიურობდა, კლაუსი თუ ჰაინცი?

ზურა: ჰაინცი უფრო მკაცრია, საუბარს ის იწყებდა და შენიშვნებსაც ის გვაძლევდა. კლაუსი რჩევა-დარიგებებით უფრო მონაწილეობდა ამ ამბავში.

დათო: ერთადერთი ენობრივი ბარიერია, თორემ ძალიან კარგი პიროვნებები და სპეციალისტები არიან. ამ ბარიერის მიუხედავად, მათი გაგება ნამდვილად არ გვიჭირს.

— ბოლოს ისევ „ამერს“ მივუბრუნდეთ. მალე უეფას თასზე დებიუტი გელით...

ზურა: საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობა კი მიგვიღია ჭაბუკთა და ახალგაზრდული ნაკრებების დონეზე, მაგრამ უეფას თასი სულ სხვა დონეა, გაცილებით მაღალი.

დათო: თანაც, უეფას თასის ეს გათამაშება „ამერისთვისაც“ პირველია და ორმაგი პასუხისმგებლობა გვაკისრია.

გიორგი ნოზაძე

ამერმა ჩეხეთი არჩია

თბილისის „ამერს“ ორ თვეში სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს — საქართველოს თასის მფლობელი პირველად ითამაშებს უეფას თასის გათამაშებაში.

„ამერი“ 31 მაისს შეიკრიბება, 3 ივნისიდან კი 10 დღით ბაკურიანში წავა. იქიდან დაბრუნების შემდეგ გუნდი დაახლოებით ერთი კვირა თბილისში გააგრძელებს წვრთნას, ივნისის ბოლო დეკადიდან კი ორი კვირით საზღვარგარეთ მიემგზავრება. სეზონისწინა შეკრების მოსაწყობად კლუბის ხელმძღვანელობამ ჩეხეთი შეარჩია. „ამერი“ პრაღის მახლობლად გაივლის შეკრებას და თბილისში უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრამდე ათიოდ დღით ადრე დაბრუნდება.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს: ჯერჯერობით თასის მფლობელთა ერთადერთი შენაძენი მოთამაშე-მწვრთნელი იური გაბისკირიაა, წამსვლელ-წასული კი ოთხჯერ მეტია: ალექსანდრე კაიდარაშვილს და რევაზ ნაჭყეპიას საკონტრაქტო ვადა დაუმთავრდათ და ორმხრივი შეთანხმებით გადაწყდა, ხელშეკრულება აღარ გაეგრძელებინათ. მცველი გიორგი კვახაძე და ნახევარმცველი ალექსანდრე კოშკაძე კი ტრანსფერზე არიან.

გიორგი ნოზაძე

დონეცკური სამაია?

ლევან ცქიტიშვილი

ჯერ დემეტრაძე, რიგში კი ცქიტიშვილი და კვირკველია

დონეცკის „მეტალურგში“ რომ გიორგი დემეტრაძის დაბრუნების ამბავი გადაწყდა, გეცოდინებათ. თუმცა არაა გამორიცხული, ამ გუნდში სულაც სამმა ქართველმა მოიყაროს თავი — როგორც შევიტყვეთ, „მეტალურგი“ დავით კვირკველიას და ლევან ცქიტიშვილის გადაბირებას ცდილობს.

ცქიტიშვილი შარშან ამ დროსაც იყო დონეცკურ კლუბში, თუმცა მხოლოდ ერთი თვე დაყო და ერთი ტესტ-მატჩი ჩაატარა — მალევე „ცქიტო“ „ვოლფსბურგმა“ შეიძინა, თუმცა ახლა, ვინძლო, ისევ უკრაინაში დაბრუნდეს.

ლუკა თალაკვაძე

ჩიხურა აღმა მიედინება

საჩხერის „ჩიხურამ“ გუნდის მთავარ მწვრთნელად ხვიჩა ქასრაშვილი ხომ დაიგულა და ახლა ფეხბურთელების დამატებაც დაიწყო: ზემოიმერლებმა „ბორჯომის“ სამი ფეხბურთელი, მეკარე ზურაბ მამალაძე, მცველი სანდრო ბურნაძე და ნახევარმცველი მიხეილ მესხი გადაიბირეს.

სამივე ეს მოთამაშე კურორტელთა გუნდში ერთ-ერთ წამყვან ძალად ითვლებოდა და საინტერესოა, „ჩიხურა“ კი ძლიერდება, მაგრამ რა ბედი ელის „ბორჯომს“?

ილია ნანოგაფშვილი

პლეი ოფი პირველი ლიგისთვის

გუშინ საპირველლიგო პლეი ოფის ერთი მატჩი ჩატარდა, სადაც თბილისის ომც-მ ასევე დედაქალაქურ „სკონტო-აკადემიას“ 2:1 მოუგო და ერთი ნაბიჯი გადადგა პირველი ლიგისკენ. ეს აღმოსავლეთ ზონის გუნდების შეხვედრა იყო.

დღეს კი ქუთაისში დასავლეთ ზონის საპლეიოფო შეხვედრაში, ხობის „კოლხეთი“ და ქობულეთის „შუქურა“ შეხვდებიან. ამ თამაშში მოგებული სწორედ ომც-ს შეხვდება და ვინც მოიგებს, პირველ ლიგაში ითამაშებს.

ლუკა თალაკვაძე

ამხანაგური მატჩები

ზიზმარი დასრულდა
ამიერიდან ტრიბუნაზე ექნებით

საფრანგეთი 1:0 მექსიკა
1:0 მალუდა (45)
საფრანგეთი: ბარტეზი, სანიოლი, ტურამი (ბუმსონგი 50), გალასი (სილვესტრი 46), აბიდალი, მალუდა, მაკელელე (დიარა 48), ვიეირა (ვილტორდი 46), ზიდანი (დორასო 52), ტრეზეგე (რიბერი 74), სისე
მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი
მექსიკა: ო. სანჩესი, ხ. კასტრო, მარკესი (ტორადო 74), ოსორიო, სალკიდო, სუარესი (ფ. როდრიგესი 65), პარდო, ლ. პერესი (ნელსონი 46), პინედა (რ. მორალესი 46), ბორხეტი (არელანო 67), გ. ფრანკო (ბრავო 46)
მწვრთნელი: რიკარდო ლავოლპე

საფრანგეთის და მექსიკის ნაკრებებმა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, „სტად დე ფრანსზე“ გაივარჯიშეს, მასპინძლებმა გაიმარჯვეს 1:0, და ეს ამხანაგური თამაში იმავდროულად ზინედინ ზიდანის მე-100 მატჩი გამოდგა „ლურჯების“ შემადგენლობაში — ზიდანი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ფეხბურთიდან მიდის და ამდენად, შაბათს იგი „სტად დე ფრანსსაც“ დაემშვიდობა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი კი პირველი ტაიმის მიწურულს, მსაჯის წამატებულ წუთზე ახალგაზრდა ფლორენ მალუდამ გაიტანა. მან, საჯარიმო მოედანში მარცხნივ მდგომმა, მარჯვენა ფრთიდან მიიღო ჯიბრილ სისეს ჩაწოდებული ბურთი, მკერდით დაიგდო, დარტყმა მოზომა და ძლიერად შეჭედა ხარიხის ქვემოთ.

მაგრამ, დავუბრუნდეთ 33 წლის ზიდანს, რომელსაც „სტად დე ფრანსის“ სარეკლამო დაფებზე საკმაოდ ორიგინალური ფორმით თან ემშვიდობებოდნენ და თან მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ გულს უმაგრებდნენ თანამემამულეები. დაფებზე ინთებოდა: ზიდანს პლუს... და შემდეგ თითო თითოდ მოდიოდა საფრანგეთის ნაკრების სხვა ფეხბურთელთა გვარები, რომელთა ჩამოთვლა მალიმალ წყდებოდა და იწერებოდა: „შეუძლებელი არაფერია“.

„ამ სტადიონთან უამრავი მოგონება მაკავშირებს — განაცხადა ზიდანმა მატჩის შემდეგ — მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს. ამიერიდან აქ მაყურებლად მოვალ. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპინატისთვის მზადებას, ახლა, დანიასა და ჩინეთთან დარჩენილ ორ ამხანაგურს უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება, დღეს გამარჯვება კი ძალიან კარგი იყო“.

შეგახსენებთ, რომ ზიდანმა 1998 წლის იანვარში, „სტად დე ფრანსის“ გახსნის მატჩში ესპანეთს გაუტანა შეხვედრის ერთადერთი გოლი, ხოლო იმავე წლის 12 ივლისს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიელებს ორი გოლი შეუგდო.

საინტერესოა, რომ მექსიკელებთან შეხვედრა ზიზუმ მარცხენა ფრთიდან დაიწყო, გოლის ავტორი მალუდა კი მარჯვენა ნახევარმცველის საქმეს აკეთებდა, მაგრამ სულ რაღაც ათ-თორმეტ წუთში ზიდანი შუაში შევიდა, მალუდამ კი მარჯვნიდან მარცხნივ გადაინაცვლა.

„დღეს იმიტომ ვერ ვლაღობდით, რომ ბიჭები დასვენებულები არ არიან — თქვა მატჩის შემდეგ „ლურჯების“ მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა — ერთი სიტყვით, სწორედ ამას ვული. ფაქტია, რომ ამ შეხვედრაში ბევრი ვიმუშავეთ და მივაღწიეთ იმ გამარჯვებას, რომელიც სამომავლოდ დიდ ენერგიას შთაგვბერავს“.

რაც შეეხება მექსიკას, საფრანგეთთან წაგებით მან საკმაოდ უსიამოვნო შედეგი მიიღო: ზედიზედ ხუთი მარცხი.

ფრანგთაგან სახიფათო მომენტი ჰქონდა პატრიკ ვიეირასაც, რომელმაც მე-15 წუთზე 20 მეტრიდან ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო მექსიკელთაგან, რაფაელ მარკესს შეძლო საჯარიმოდან აწეული ბურთის თავით კარში შეგზავნა, თუმცა არ გაუმართლა და მიზანს სულ ცოტათი ააცილა. ეს 34-ე წუთზე მოხდა.

მეორე ტაიმში კი გუნდებმა იმდენი ფეხბურთელი შეცვალეს, რომ ვერც იცნობდით.

63-ე წუთზე მალუდას პასით დავიდ ტრეზეგეს შეეძლო მეორე გოლის გატანა, მაგრამ მექსიკელთა ჩინებულმა გოლკიპერმა ოსვალდო სანჩესმა არ დაანება.

პაპუნა ძედია

კლინსმანი: შესრულებულია

გერმანია 7:0 ლუქსემბურგი
1:0 კლოზე (5), 2:0 ფრინგსი (13), 3:0 პოდოლსკი (36), 4:0 კლოზე (59), 5:0 პოდოლსკი (65), 6:0, 7:0 ნოივილი (90, 90)
გერმანია: ლემანი (კანი 46), ფრიდრიხი, ჰუთი (მერტესაკერი 46), მეცელდერი, იანსენი (ჰიცლშპერგერი 46), შნაიდერი, ფრინგსი (კელი 46), ბოროვსკი, შვაინშტაიგერი, კლოზე (ასამოა 71), პოდოლსკი (ნოივილი 71)
მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელმა ლუქსემბურგი გამოიჭირა და შვიდი უპასუხო გოლი გაუტანა. შვეიცარიული ფრიბურგის სტადიონზე შეკრებილი ქომაგები გერმანელთა თამაშით კმაყოფილნი დარჩნენ მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე საგრძნობლად სუსტი იყო.

გერმანიამ კაპიტნის, მიხაელ ბალაკის გარეშე ითამაშა, რომელსაც ტრავმა აწუხებს. იურგენ კლინსმანი გუნდს ეს დიდად არ დასტყობია. ანგარიში მე-5 წუთზევე გაიხსნა, როცა ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულმა მიროსლავ კლოზემ შეაგდო. მან 59-ე წუთზეც გაიტანა. დუბლი შეასრულეს ლუკაშ პოდოლსკიმ და შეცვლაზე შესულმა ოლივერ ნოივილმაც. ერთიც ტორსტენ ფრინგსმა გაიტანა, ვინც ეროვნული ნაკრების მაისურით 50-ე მატჩს ატარებდა.

ცხადია, კლინსმანმა ექსპერიმენტებსაც მიმართა. მან მეორე ტაიმში 6 ფეხბურთელი შეცვალა და ტაქტიკაც რამდენჯერმე გადააწყო. გერმანელთა თამაშის კრიტიკის მიზეზი ამჯერად არავის ჰქონია.

„ჩვენთვის ძალიან სასარგებლოა ასეთი შთამბეჭდავი გამარჯვება. თავდამსხმელები გავაფრთხილეთ, რომ ბევრი საგოლე მომენტი ექნებოდათ და მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინათ. მათ ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულეს“ — თქვა კლინსმანმა.

ტორსტენ ფრინგსი: „კარგად ვითამაშეთ და ვფიქრობ, მწვრთნელის დავალება ბოლომდე შევასრულეთ. ჩემი აზრით, მატჩიდან მატჩამდე ვძლიერდებით, რაც ძალიან სასიხარულოა.“

გერმანელებს მორიგი ამხანაგური მატჩი გაცილებით ძლიერ მეტოქესთან, იაპონიასთან, სამშაბათს ლევერკუზენში ელით. 2 ივნისს ალემანები მიონხენგლადბახში უმასპინძლებენ კოლუმბიას, 5 ივნისს კი ბერლინში დაბრუნდებიან და სამუნდიალოდ ვარჯიშს გააგრძელებენ.

გიორგი ძაძამძე

მიროსლავ კლოზემ დუბლი შეასრულა

ამას ეშველება

პასკალ ცუბერბიულერმა შვეიცარია ვერ გადაარჩინა

შვეიცარია 1:1 კოტ დივუარი
1:0 ბარნეტა (32), 1:1 ფაე (47)
შვეიცარია: ცუბერბიულერი, მანინი, მიულერი (გრიხტინგი 29), სენდეროსი, ბარნეტა (ვიკი 46), ბეჰრამი (დ. დეგენი 77), რ. კაბანასი, ფოგელი (ჯემაილი 67), ფრეი, გიგაქსი (ფ. დეგენი 46), შტრელერი
მწვრთნელი: იაკობ კუნი
კოტ დივუარი: ბარი, ბოკა (კუასი 46), დომორო, მეიტე, ზორო კპოლო, ბ. კალუ (ა. კონე 65), ი. ტურე, ზოკორა (იაპი იაპო 46), კ. აკალე (დემელი 80), დროგბა (ბ. კონე 65), ა. კეიტა (ფაე 46)
მწვრთნელი: ანრი მიშელი

შვეიცარიამ ბაზელში კოტ დივუარს უმასპინძლა და დაუზავდა. მთლიანობაში მატჩი თანაბარ ორთაბრძოლაში წარიმართა. ევროპელები მცირე უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ აფრიკელებმა არანაკლები სახიფათო მომენტები შექმნეს.

პირველი გოლი შვეიცარიელთა პერსპექტიულმა შემტევმა ნახევარმცველმა, 21 წლის ტრანკვილო ბარნეტამ შეაგდო, მეორე ტაიმის დებიუტში კი ემერსე ფაემ წონასწორობა აღადგინა და, მიუხედავად მცდელობებისა, მეტოქეებმა მეტის გატანა ველარ შეძლეს.

„ბევრი მომენტი შევქმენით და კარგად ვითამაშეთ. მე ძალიან კმაყოფილი დავრჩი, ყველაფერი კარგად მიდის. მართალია, მუნდიალამდე რამდენიმე დეტალი დასახვეწია, მაგრამ ამას ეშველება. მოსამზადებლად კიდევ გვაქვს დრო“ — აღნიშნა ანრი მიშელმა.

კობი კუნი: „კოტ დივუარი ნამდვილად აფრიკის უძლიერესი ნაკრებია. მათი თამაშით ძალიან მოვიხიბლე და ბევრი პრობლემაც შეგვიქმნეს. ჩვენ კი ჯერ თამაში დასახვეწი გვაქვს. სულ რამდენიმე დღეა, რაც შევიკრიბეთ და, ცხადია, წუნიც შეიმჩნევა. ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩენილი დრო კარგად უნდა გამოვიყენოთ.

კოკი კანდელაკი

ამხანაგური მატჩები

მონაკვეთებში

AFP როტერდამიდან

რუუდ ვან ნისტელროიმ ამაოდ არ იშრომა

ჰოლანდია 1:0 კამერუნი

1:0 ვან ნისტელროი (23)

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ოიერი, მატიისენი, კრომკამპი, ვან ბრონჰორსტი, კოკუ (ლანძაატი 78), ვან ბომელი, სნეიდერი, რობენი (ბაბელი 82), ვან ნისტელროი (კუიტი 76), ვან პერსი

მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი

ჰოლანდიის ნაკრებმა როტერდამში მშვენიერი სპექტაკლი დადგა. მართალია, „ნარინჯისფერებმა“ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს, მაგრამ ჩინებულად ბურთაობდნენ და მრავალი მომენტიც ჰქონდათ. კამერუნელთა რიგებში კი თაობათა ცვლა მიმდინარეობს, რაც მათ თამაშსაც ეტყობა და აფრიკელები ბევრს ვერაფერს გახდნენ. მით უმეტეს, რომ მათი უდავო ლიდერი სამუელ ეტოო ტრავმის გამო ვერ თამაშობდა.

მარკო ვან ბასტენს დაშავებული რაფაელ ვან დერ ვაარტი არ ჰყავდა, მაგრამ „ჰამბურგის“ პლეიმეიკერის არყოფნაში არიენ რობენმა, რობინ ვან პერსიმ და რუუდ ვან ნისტელროიმ თავიანთი საქმე ბრწყინვალედ გააკეთეს. განსაკუთრებულად შთამბეჭდავი ბოლო ორი თამაში იყო.

„ნარინჯისფერები“ მთელი მატჩის მანძილზე უპირატესობას ფლობდნენ და, როგორც სჩვევიათ, ძირითადად უტევდნენ. ერთადერთი გოლი 23-ე წუთზე გავიდა, როდესაც ანდრე ოიერმა ვან ნისტელროის კარგად უპასა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდსაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია. ჰოლანდიის ნაკრების რიგებში ეს მისი 50-ე მატჩი იყო, გოლი კი — ოცდამეექვსე.

„მონაკვეთებში მართლაც ძალიან კარგად ვირჯებოდით და მთლიანობაშიც კმაყოფილი დავრჩი. ძლიერ მეტოქეს მშვენივრად გავუმკლავდით და, რაც მთავარია, ჩვენთვის მისაღებ და საჭირო სტილში, სწრაფად და სასარგებლოდ ვმოქმედებდით. პოზიციურადაც კარგად ვითამაშეთ და ფლანგებიც სათანადოდ გამოვიყენეთ“ — აღნიშნა ვან ბასტენმა.

„სიკვდილის“ ჯგუფში მყოფ ჰოლანდიას, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინასთან, სერბეთთან და კოტ დივუართან მოუწევს პაექრობა, ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ ორი ამხანაგური მატჩი ელის — მექსიკასთან და ავსტრალიასთან.

გიორგი ძაძაგაძე

ესპანეთი რუსული ნულით იწყებს

AFP ალბასეტედან

ესპანეთი 0:0 რუსეთი

ესპანეთი: კასილიასი, სერხიო რამოსი, პაბლო, პუიოლი, ა. ლოპესი (ხოაკინი 72), ალბელდა (ხავი 46), სენა (ხაბი ალონსო 46), ფაბრეგასი (ინიესტა 46), ლუის გარსია (რაული 46), ფ. ტორესი, ვილია (რეიესი 61)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

ლუის არაგონესის ესპანეთის ნაკრებმა წინასამუნდიალო მოსამზადებელი სერიის პირველ მატჩში რუსეთთან 0:0 ითამაშა. „კარლოს ბელმონტზე“ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა კასტილიელებს ყველაზე უმთავრესი დაეკლდათ გამარჯვებისთვის — გოლის გატანა.

„ფურია როხამ“ ორი საგოლე მომენტი მატჩის პირველ 15 წუთშივე გაანიავა. პირველად ლუის გარსიას დარტყმა რუსების მეკარე აკინფეევმა მოიგერია, მეორედ კი ალბელდამ გააცუდა ხელსაყრელი ეპიზოდი.

არაგონესის მიერ შეკრულმა ნახევარდაცვის „ტრიდენტემ“ (სესკი, ალბელდა, სენა) მართალია, უკანა ხაზის რუსთაგან დაცვა შეძლო, მაგრამ მოიერიშედ ვეღარ ივარგა. „არსენალის“ ჩაუქი სესკი „კარლოს ბელმონტზე“ უფერული გახლდათ და ციდან ვარსკვლავები ვერც სენამ და ალბელდამ მოწყვიტეს.

რუსებმა მეტოქის გულშემატკივარს პირველი ტაიმის 31-ე წუთზე გაუხეთქეს გული — ანიუკოვმა ძლიერად გაისროლა და იკერ კასილიასმაც შესანიშნავი ნახტომით იხსნა კარი. „რეალისა“ და ნაკრების გოლკიპერი ამის შემდეგ ზედმეტად აღარ შეუწუხებიათ — ჩრდილოელთა მოიერიშეებმა მის საჯარიმოსთან ხიფათი ვეღარ შექმნეს.

მეორე ტაიმში არაგონესმა ნახევარდაცვა მთლიანად შეცვალა, ხოლო თავდასხმაში ლუის გარსიას მაგივრად მოედანზე რაულს მოუხმო. ესპანეთმა, უპირატესობის მიუხედავად, გოლი ვერ გაიტანა. ვილიას ნაცვლად შესული რეიესი და რაული საჭირო დროს არაზუსტნი იყვნენ.

„კარლოს ბელმონტზე“ ადგილობრივებმა ფიესტა, ვერც სწრაფი ბარსელონელების, ხავის და ინიესტას გამოჩენის შემდეგ შეძლეს. საბოლოოდ თამაში უგოლოდ დასრულდა, თუმც მასპინძელთა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა მედიასთან შეხვედრისას განაცხადა, საგანგაშო არაფერია, რუსებთან მატჩში გარკვეული ტაქტიკური სიახლეები მოვსინჯე, რაც 14 ივნისს უკრაინასთან მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი მატჩის დროს გამოგვადგებაო.

ლადო ხომერიკი

ჩვენ ვსხედვართ სკანდალის ნავში

გვიდო როსი, რომელსაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ახალ კომისიონერს ეძახიან, ირწმუნება, გამოძიება არაფრის და არავის შიშით უკან არ დაიხევს და ყველა დამნაშავე თავისას მიიღებსო. პროკურატურა კი მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებულ სკანდალში წინ მიიწევს და ყოველდღიურად 1-აქმეში ახალი ეჭვმიტანილები თუ სამხილები ჩნდება.

„ახლა გმოძიების უმნიშვნელოვანესი მომენტია. დაახლოებით ათ დღეში ყველაზე საინტერესო წერტილამდე მივალთ. ღრმად უნდა შევცუროთ, ძალიან ღრმად. აქამდე ამ სისტემაში თითქის არაფერი კეთდებოდა და ბევრია გამოსასწორებელი. ზოგი ამბობს, რომ სკანდალი ამჯერადაც ჩაწყნარდება, როგორც ადრე და ბევრი სიტუაციიდან გამოძვრება. ამაზე მეღიმება და ახლა ვიხუმრებდი კიდეც, მაგრამ არ მინდა, ახალი მტრები შევიძინო, ამიტომ უბრალოდ ვიტყვი, რომ თუ ვინმე, ვინც გასვრილია, ფიქრობს, რომ დაუსჯელი დარჩება, ძალიან ცდება“ — განაცხადა ყოფილმა მოსამართლემ და ამგვარ საქმეებში საკმაოდ გამოცდილმა გვიდო როსიმ.

ტურინის „იუვენტუსსა“ და შარში გახვეულ სხვა კლუბებს ტიტულების წართმევა, ქულების დაკლება და სხვა მკაცრი სასჯელები ელით, მათ შორის, ქვედა ლიგაში დაქვეითებაც.

„ვინ დარჩება და ვინ გავარდება, გამოძიების დასრულების შემდეგ გადაწყდება. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ არავის და არაფერს შევუშინდებით. ეს ყველასთვის კარგი გაკვეთილი იქნება და იმედია, ვეღარავინ გაბედავს ბინძურად თამაშს“ — აღნიშნა როსიმ.

ცოტა ხნის წინ „იუვენტუსის“ ორი ფეხბურთელი — ჯანლუკა ძამბროტა და ფაბიო კანავარო ჟურნალისტებს ესაუბრნენ. მათ უკმაყოფილება გამოთქვეს გამოძიების ამგვარი მიმდინარეობით, აქაოდა, ჩვენ რა შუაში ვართ, რაც დავიმსახურეთ, იმას მივაღწიეთ და ტიტულები რატომ უნდა წაგვართვანო. მათ ერთი-ორი სიტყვით როსიც გაკიცხეს.

გვიდო როსი: „გავბრაზდი თუ არა კანავაროზე და ძამბროტაზე? თქვენ როგორ ფიქრობთ? ხომ ხედავთ, მეღიმება: მერწმუნეთ, აზრს ისინიც შეიცვლიან, რადგან გამოძიება სწორი გზით მიდის. ჩვენს ქვეყანაში 40 მილიონი ადამიანი სპორტით აღფრთოვანებულია, ფეხბურთი ყველას პირზე აკერია და ამ სფეროში კორუფცია ყველაზე საწყენია. ხალხს სურს, მოედანზე, უყუროს თმაშს და ისიამოვნოს, რისი საშუალებაც მაქინაციებით არ უნდა წაართვა. ამიტომ აუცილებელია, სამართალმა იზეიმოს და მიზნის მისაღწევად თავს არ დავზოგავთ. რაც მავარია, ამ სკანდალმა გავლენა არ უნდა მოახდინოს ეროვნულ ნაკრებზე. „სუკუადრა აძურას“ წარმატებული თამაში და ქცევა სამაგალითო უნდა იყოს.

გიორგი ძაძაგაძე

მესის ოთახში ოსკარი უზის

არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ვარსკვლავი ლეო მესი რომში, ბორგესიანაში იმყოფება, სადაც პატაგონიელთა ეროვნული გუნდი წინასამუნდიალო წვრთნას გადის. ლეომ კვირას, მწვრთნელ ხოსე პეკერმანის მეთაურობით ჩატარებული ვარჯიშის შემდეგ, მოედანთან ჩასაფრებულ მედიის მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს მიაკითხა. „ალბისელესტეს“ ფორვარდთან გასაუბრების პატივი „ბარსას“ მეხოტბე გაზეთის, „ელ მუნდო დეპორტივოს“ კორესპონდენტს ხვდა წილად

— ფიზიკურად თავს როგორ გრძნობთ?

— საკმაოდ კარგად. თუმცა ბორგესიანას ცხელმა ამინდებმა გვარიანად გამაწვალა. ტრავმაც თითქმის მოვირჩინე. ექიმები ჯერაც მაკონტროლებენ, მაგრამ უმოქმედობა უკვე მომბეზრდა და ერთი სული მაქვს, მოედანზე დიდი მატჩის სათამაშოდ როდის გავალ.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის სადებიუტო შეხვედრაში ძირითადში გიხილავთ?

— ძირითადში ჩემი ყოფნა საეჭვოა, რადგანაც „ალბისელესტეს“ სხვა, საუკეთესო ფორმაში მყოფი ფორვარდებიც ჰყავს. ძალების სრულად აღდგენისთვის დრო და ბევრი თამაში მჭირდება. თუმცა მუნდიალი ხანგრძლივი ტურნირია და მეც ფორმაში ჩადგომას აუცილებლად მოვახერხებ.

— მსოფლიოს პირველობის მთავარ ფავორიტად ყველა ბრაზილიის ნაკრებს ასახელებს...

— გეთანხმებით, მაგრამ 4 წლის წინ კორეა-იაპონიაში ფავორიტად არგენტინის ნაკრებს თვლიდნენ და ჯგუფიდან გავვარდით... ბრაზილიას პატივს ვცემ, მაგრამ მისი ფავორიტობა საერთოდ არ მაინტერესებს, მსურს, თასი ჩემმა ქვეყანამ მოიგოს.

— მაგრამ ბრაზილიის გუნდში თქვენი დიდი მეგობარი, რონალდინიო თამაშობს...

— რონის მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული, ხოლო არგენტინის ნაკრებს მსოფლიოს თასი მოუხდება. რონალდინიო ნამდვილი გრანდია, არა მარტო მსოფლიოს საუკეთესო მობურთალი, არამედ · ბრწყინვალე პიროვნებაც, რაც უფრო მნიშვნელოვანია. ვამაყობ, რომ მისი მეგობარი ვარ.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილია და არგენტინა ერთმანეთს თუ შეხვდნენ, რონალდინიოს ბურთისთვის ბრძოლაში ხომ არ მოერიდებით მეგობრობის ხათრით?

— აბა, რა გითხრათ, მე წინ ვთამაშობ, რონალდინიოსთან ჭიდაობა კი არგენტინის ნაკრების მცველებს მოუწევთ...

— მადრიდის „რეალში“ 2 ივლისს საპრეზიდენტო არჩევნებს ჩაატარებენ. ზოგიერთი კანდიდატი თქვენს სახელს ხმების მოხვეჭის მიზნით იყენებს...

— მადრიდის „რეალი“ ბრაზილიის ნაკრებზე ნაკლებად მაინტერესებს. პრეზიდენტობის კანდიდატების გამონათქვამებს ყურადღებას არ ვაქცევ — რაც უნდათ, ის ილაპარაკონ, სინამდვილეში კი მშვენივრად იციან, რომ „რეალში“ არ გადავალ.

— სხვა გრანდების, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „მილანის“, ინტერესზე რას გვეტყვით?

— ლეო მესი ფულზე არ იყიდება. „კამპ ნოუზე“ კონტრაქტით გათვალისწინებული მუხლი კი არა, ხალხის სიყვარული მაკავებს. „ბარსასგან“ დიდად ვარ დავალებული და აქ დარჩენა და ისტორიაში შესვლა მსურს, რონალდინიოს მსგავსად.

— ამბობენ, რომ 17 მაისს, ჩემპიონთა თასის მოპოვების შემდეგ, ბარსელონურ ფიესტაში არ მონაწილეობდით...

— პირიქით, სიხარულისგან იმდენი ვიყვირე, ხმა დამეკარგა. კამერებმა არ დამაფიქსირეს, რადგან ოპერატორები „ბარსას“ გასახდელში არ შემოვიდნენ... ყველგან ვიზეიმე „ბარსას“ გამარჯვება — გასახდელში მეგობრებთან, შემდეგ თითმფრინავში და მერე ბარსელონაში, გულშემატკივრებთან ერთად. რა თქმა უნდა, „სტად დე ფრანსზე“ თამაში მსურდა, თუმცა გვიან არც ახლა არის და ლიგის ფინალის გამოტოვებას მუნდიალზე ბურთაობით ავინაზღაურებ... 2005-06 ჩემთვის გადასარევი სეზონი გამოდგა — არგენტინის 20-წლამდელთა ნაკრებთან ერთად მსოფლიო თასის მოგება, პრიმერადივიზიონში „რეალთან“ გამარჯვება, ჩემპიონთა თასის აღება და ბარსელონას ქუჩებში სადღესასწაულოდ გამოსული მილიონნახევარი ადამიანი — ამ ყველაფერს სიცოცხლის ბოლომდე ვერ დავივიწყებ.

— პარიზის ფინალის შემდეგ თვითმფრინავში „ბარსელონას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტას მიკროფონით ხმამაღლა განუცხადეთ — ამჯერად გამარჯვების აღსანიშნავად საათის მაგივრად ბინა მაჩუქეთო... როგორ დამთავრდა ეს ისტორია?

— სასაცილო ამბავი გამახსენეთ... თუ ძალიან გაინტერესებთ, გეტყვით, რომ ლაპორტასგან ამაზე პასუხი ჯერაც არ მიმიღია.

— ალბათ, უკვე ბევრმა გთხოვათ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე სადებიუტო მატჩის შემდეგ თქვენი მაისურა აჩუქოთ...

— მაისურის მთხოვნელთაგან გული მაქვს გაწყალებული, თუმცა სადებიუტო ფორმას მაინც მამაჩემს და ჩემს ძმას, მატიასს, ვაჩუქებ. ისინი ყველა ჩემს სამახსოვრო ნივთს ინახავენ.

— არგენტინის ნაკრების ბაზაზე ოთახს ვისთან ერთად იყოფთ?

— ოსკარ უსტართან. იგი ფენომენალური ბიჭია.

რას მაჯმევთ?

ზლატანმა სასწორი დაამტვრია

მამით ხორვატმა და დედით ბოსნიელმა, „იუვენტუსის“ შვედმა თავდამსხმელმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა განაცხადა, რომ გასულ სეზონში იტალიური საჭმელების გამო ვერ ითამაშა კარგად.

„მთელი კარიერის განმავლობაში არ მიჭამია იმდენი ცხარე, იტალიაში გადასვლის შემდეგ რომ ვჭამე — განუმარტა პრესასთან ორთვიანი უბრობის შემდეგ იბრაჰიმოვიჩმა ჟურნალისტებს — ჩემი იდეალური წონა 92-94 კილოგრამია, იტალიაში კი 96 ან 97 კილოგრამით გავდივარ მოედანზე. მოკლედ, აქაური საჭმელი ჩემთვის არ არის“.

შეგახსენებთ, რომ ყოფილი აიაქსელი სერია A-ში რომ გადავიდა, ჩინებულად თამაშობდა, პირველსავე სეზონში 16 გოლი გაიტანა, მაგრამ შემდეგ ანუ ახლად დამთავრებულ ჩემპიონატში ვეღარ ივარგა და მხოლოდ შვიდჯერ შეძლო გოლის შეგდება.

სხვათა შორის, ამბობდნენ, რომ იბრაჰიმოვიჩის ცუდი თამაში „იუვენტუსთან“ ვაჭრობით და მადრიდის „რეალის“ მისადმი ინტერესზე დაუსრულებელი ფიქრით იყო განპირობებული, მაგრამ ახლა, როგორც ხედავთ, ირკვევა, რომ „რეალის“ ამბავი ცხარე პიცის თეფშზე მოყრილი ტყუილი ყოფილა.

სხვათა შორის, იბრამ შვედეთის ნაკრების ქომაგებიც შეაშფოთა. ერთი, რომ ყველა მის ცუდ ფორმაზე წუხს და მეორეც, შვედეთისა და ფინეთის ამხანაგურ შეხვედრაში ერთი წუთითაც არ შეუდგამს ფეხი მოედანზე.

და მაინც, არ არის გამორიცხული იბრაჰიმოვიჩი ისევ მოხვდეს გაზეთების პირველ გვერდებზე. საქმე ის არის, რომ „მილანმა“ ანდრეი შევჩენკო გაუშვა და თავდამსხმელი სჭირდება, ხოლო ვინ იცის, იქნებ „მილანში“ კერძებს ნაკლებ წიწაკას აყრიან...

მოკლედ, დავიცადოთ ცოტა ხანი და დავინახავთ, გაყიდის თუ არა „იუვენტუსი“ იბრაჰიმოვიჩს. სამაგიეროდ, ამთავითვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბებერი ქალბატონის“ ახალი მენეჯერი მისი მცველი ჯანლუკა პესოტო იქნება.

„ბედნიერი ვარ ასეთი თანამდებობის დაკავების საშუალება რომ მომეცა — ამბობს პესოტო — ეს თანამდებობა ახალი ცხოვრების და ახალი კარიერის დაწყების საშუალებას მაძლევს და იმავდროულად, „იუვენტუსში“ ვრჩები. ყველა ღონეს ვიხმარ საქმეს თავი რომ გავართვა“.

შეგახსენებთ, რომ პესოტომ „სტადიო დელე ალპიზე“ 11 წელიწადი გაატარა. ტურინის მეორე გუნდიდან, „ტორინოდან“ მისულმა მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი, ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი, ექვსი სკუდეტო და ოთხი იტალიური სუპერთასი. გასულ სეზონში პესოტომ ყველა შეჯიბრებაში ერთად 14 თამაშზე მეტში ვერ მიიღო მონაწილეობა.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, მოგეხსენებათ, იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე სკანდალის გამო „იუვენტუსის“ მმართველი ტრიო — მოჯი, ჯირაუდო, ბეტეგა — წავიდა და ახალი ხალხის მიზიდვა შეიქნა აუცილებელი. ადამიანი, რომელიც ადრე იმ თანამდებობაზე მუშაობდა, რომელზეც დღეს პესოტო მივიდა, ალესიო სეკო, კლუბის სპორტული დირექტორის თანამდებობაზე გადაიყვანეს.

ხოლო სკანდალის ამბავი ჯერ არ გარკვეულა და არ გადაწყვეტილა, ისე კი მავანნი სულ იმას იძახიან, „იუვენტუსს“ არმად ნაშოვნი ორი სკუდეტო ჩამოვართვათო.

„ეს უსინდისობა იქნება — თქვა პასუხად „ბებერი ქალბატონისა“ და იტალიის ნაკრების მცველმა ჯანლუკა ძამბროტამ — მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ყველა ღონე ვიხმარეთ რათა ეს ჯილდოები მოგვეპოვებინა. ჩვენ ალალი შემართებით ვთამაშობდით, ვმუშაობდით, საკუთარ ჯანმრთელობას არ ვზოგავდით და არავისი არაფერი გვმართებს. თან, მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ ცხოვრებაში არ მიკადრია ქურდობა. იმედი მაქვს, გამოძიება ყველაფერს გაარკვევს და თუ დადგინდება, რომ ვიღაცამ ფეხბურთელებს ზურგსუკან რაიმე უკანონო მოიმოქმედა, დაე სამუდამოდ მოიკვეთოს ფეხბურთიდან“.

ბრაზილიელმა ემერსონმა კი საკითხს პრაქტიკული კუთხით შეხედა და თქვა, თუ „იუვენტუსს“ სერია B-ში გააგდებენ, მე იქ დამრჩენი არ ვარო.

„კონტრაქტი 2010 წლამდე მაქვს, მაგრამ მხოლოდ 29 წლისა ვარ. ერთი სიტყვით, ამწუთას ნამდვილად ვერ დავპირდები ვინმეს, რომ დავრჩები“.

სხვათა შორის, ემერსონისას ვერაფერს მოგახსენებთ და ძამბროტას „ბარსელონა“ ჰყავს ჩასაფრეული, თანაც იმის მიუხედავად, „ბებერ ქალბატონს“ სადმე გააგდებენ თუ არა.

პაპუნა კედია

ლიპიმ ტოტი მოტეხა

როგორც ჩანს, ალსენდრო დელ პიერომ ფრანჩესკო ტოტის დუელი მოუგო და „იუვენტუსის“ კაპიტანი იტალიის ნაკრების პლეიმეიკერი იქნება. ამაში „პინტურიჩოს“, „რომას“ ლიდერის ტრავმა დაეხმარა. ტოტის ადგილი „სკუადრა აძურას“ რიგებში ურყევი იყო, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი ჩემპიონატის დაწყებისთვის სათანადო ფორმაში არ იქნება და სკამზე ივლდება.

ეს, იტალიელთა ამჟამინდელ სათამაშო სქემას ფაქტობრივად არ შეცვლის. დელ პიერო ორი ფორვარდის, ალბერტო ვილარდინოსა და ლუკა ტონის უკან ითამაშებს. დელ პიეროსთვის ეს ამპლუა უცნობი არ არის, პირიქით. მას გამთამაშებლად ხშირად უთამაშია კარიერის საუკეთესო წლებში და აპენინელთა თავკაცი მარჩელო ლიპიც „პინტურიჩოს“ რომ კარგად იცნობს, თავადაც იცით.

„ტოტის შეცვლა ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ მის გარეშე უკვე მოგვიგია. ამიტომ საგონებელში ნუ ჩავვარდებით და უკეთესის იმედი გვქონდეს“ — თქვა ლიპიმ. იტალია გუშინ ამხანაგურად გაეკიბრა სამოყვარულო „სესტეზეს“ და 10:0 მოუგო. ტოტემ 70 წუთი ითამაშა და არცთუ ურიგოდ. მას ბოლო გოლი გაიტანა — ჩვეულ სტილში, მეკარეს გადაავლო ბურთი თავზე. 5 გოლი ალბერტო ვილარდინომ გაიტანა, ორი ვინჩენცო იაკინტამ, ხოლო თითო — მაურო კამორანეზიმ და მარკო მატერაციმ.

მერე „სკუადრა აძურას“ მეორე ოერთმეტეულმა ითამაშა, სერია C-ს ბინადარ „სან ჯიმინიანოსთან“ და ასევე 10:0 მოიგო. ლუკა ტონიმ ოთხჯერ იხეირა, ფილიპო ინძაგიმ — სამჯერ ალესანდრო დელ პიერომ დუბლი შეასრულა და ერთიც სიმონე პეროტამ შეაგდო.

კოკი კანდელაკი

ამხანაგური მატჩები

სერბეთი 1:1 ურუგვაი

1:0 სტანკოვიჩი (18), 1:1 გოდინი (81)

სერბეთი: ფეკრიჩი, დრაგუტინოვიჩი, გავრანჩიჩი, კრსტაიჩი (ვიდიჩი 63), ჯორჯევიჩი, დულიაი, კორომანი (ლიუბოია 68), ნადი, სტანკოვიჩი (ილიჩი 79), კეზმანი (ერგიჩი 75), მილოშევიჩი (ჟიგიჩი 57)

მწვრთნელი: ილია პეტკოვიჩი

პორტუგალია 4:1 კაბო ვერდე

1:0 პაულეტა (1), 1:1 მეირა (21სკ), 2:1 პაულეტა (38), 3:1 პეტიტი (60), 4:1 პაულეტა (83)

პორტუგალია: რიკარდუ, მიგელი, რ. კარვალიუ, ფ. მეირა (კოშტინია 46), კანეირა, ფიგუ (სიმაო 46), მანიშე (ჰ. ფერეირა 46), პეტიტი (ტიაგუ 66), დეკუ (უგო ვიანა 46), რონალდუ (პოშტიგა 62), პაულეტა

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

ტრინიდადი 1:2 უელსი

1:0 შ. ჯონი (32), 1:1, 1:2 ერნშოუ (38, 87)

ტრინიდადი: ჯეკი, ენდრიუსი (სამუელი 35), გრეი, ე. ჯონი, ლოურენსი, ბირჩალი, ედვარდსი, თომპოლდი (უოტლი 77), შ. ჯონი, ჯონსი (ლატაპი 62), იორკი

მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი

აშშ 2:0 ვენესუელა

1:0 ჩინგი (36), 2:0 დემპსი (69)

აშშ: ჰოვარდი, ოლბრაითი, ბოკანეგრა, კონრადი, ონიეკუ, კონეი (ბისლი 66), დემპსი, ოლსენი (ბრედლი 89), ჩინგი, ე. ჯონსონი, ვოლფი (დონოვანი 66)

მწვრთნელი: ბრიუს არენა

თურქეთი 1:1 განა

1:0 ნიჰათი (17), 1:1 ამოა (60)

განა: კინგსტონი, კუფური, მენსა, პანტილი, პაპოე, ო. ადო (მუნტარი 46), ე. ადო, აპია, ესიენი, მ. ამოა (ტაჩ-მენსა 80), გიანი (ჰიმპონგი 46)

მწვრთნელი: რატომირ დუიკოვიჩი

საუდის არაბეთი 0:2 ჩეხეთი

0:1 ბაროში (16), 0:2 იანკულოვსკი (90პ)

საუდის არაბეთი: ხოჯა, ალ მონტაშარი, დოხი, ალ ხათრანი (ალ ჰუსაინი 87), ტუკარი, ალ ჯამდი, ალ ტემიატი (ალ შლეჰუბი 63), აზიზი (ალ ანბარი 74), ხარირი, ნოორი (ამეენი 80), ალ კატანი (ალ ჯაბერი 89)

მწვრთნელი: მარკოს პაკეტა

ჩეხეთი: ჩეხი, უიფალუში, როზენალი, გრიგერა, იანკულოვსკი, პობორსკი (იაროლიმი 64), პოლაკი, ნედვედი, როსიცკი (პლასილი 46), ბაროში (ფერანეკი 89), ლოკვენეი (შტაინერი 57)

მწვრთნელი: კარელ ბრიუკნერი

უკრაინა 4:0 კოსტა რიკა

1:0 ნაზარენკო (27), 2:0 ვორობეი (33), 3:0 კალინიჩენკო (38), 4:0 ბელიკი (56)

უკრაინა: შოვკოვსკი (შუსტი 46), სვიდერსკი (გუსეევი 46), ვაშჩუკი, რუსოლი, ნესმაჩნი (იეზერსკი 46), ტიმოშჩუკი (გუსინი 46), ნაზარენკო (შელაევი 60), კალინიჩენკო, როტანი (ვორონინი 46), ვორობეი, ბელიკი

მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

კოსტა რიკა: ალფარო, მარინი (უმანა 46, ერნანდესი 58), ფონსეკა, ბოლანოსი, სენტენო (აზოფეიფა 46), გომესი (ბერნარდი 46), ულესი (დრუმონდი 71), ბადილა, სპორონი (ვაშოპე 58), სეკეირა, როდრიგესი

მწვრთნელი: ალეშანდრე გიმარაეში

ხორვატია 2:2 ირანი

0:1 ქარიმი (21), 1:1 პრსო (31), 1:2 ბორშანი (82), 2:2 ბაბიჩი (90)

ხორვატია: პლეტიკოშა, შიმიჩი, რ. კოვაჩი, ტუდორი (ბოდრიჩი 46), ტომაში (ტოკიჩი 46), ბაბიჩი, ნ. კოვაჩი (ვრანიეში 41), კრანჩარი, სრნა (ჟ. ლეკო 64), პრსო (ოლიჩი 58), კლასნიჩი

მწვრთნელი: ზლატკო კრანჩარი

ირანი: მირზაპაური, გოლმოჰამადი, კაბი, ნოსრატი, რეზაეი (შოჯაეი 85), ქარიმი (ბორშანი 46), ნეკუნამი, თეიმურიანი, ზანდი (ბახტიარზადეჰი 46), დაეი (კაზემეიანი 77), ბაშმიანი

მწვრთნელი: ბრანკო ივანკოვიჩი

ეკვადორი 1:2 მაკედონია

0:1 ტენორიო (25), 1:1 მაზნოვი (27), 1:2 მიტრესკი (73პ)

ეკვადორი: ვალენსუელა, ამბროზი, ქაპინოზა (პერლაზა 61), ურტადო, რესკო, აიოვი (გუაგუა 46), კასტილო, მენდესი (ურუტია 46), ვალენსია, დელგადო (კაჯედესი 46), კ ტენორიო (დე ლა კრუზი 65)

მწვრთნელი: ლუის სუარესი

ჩრდ. ირლანდია 0:2 რუმინეთი

0:1 ბალანი (7), 0:2 დ. ნიკულაე (11)

ესტონეთი 1:1 თურქეთი

0:1 უნალი (53), 1:1 ებოლა (85)

მალი 1:0 მაროკო

1:0 მ. ფერნანდეში (65)

კოლუმბია 0:0 რუმინეთი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი (U-21)

A ჯგუფი. III ტური

საფრანგეთი 2:0 სერბეთი
გერმანია 0:1 პორტუგალია

საბოლოო ცხრილი

საფრანგეთი	3	3	0	0	6:0	9
სერბეთი	3	1	0	2	2:3	3
პორტუგალია	3	1	0	2	1:3	3
გერმანია	3	1	0	2	1:4	3

B ჯგუფი. II ტური

დანია 1:1 ჰოლანდია
იტალია 1:0 უკრაინა

იტალია	2	1	1	0	4:3	4
უკრაინა	2	1	0	1	2:2	3
დანია	2	0	2	0	4:4	2
ჰოლანდია	2	0	1	1	2:3	1

დანია

I დივიზიონი. XXVII ტური

სკიოლდი — ბრაბრანდი 0:1; ფრემი — ჰელერუპი 2:5; ფრემადი — ნიკობინგი 4:3; ლიუნგბიუ — ვაილე 2:4; იოლსტიკე — ჰერფიოლგე 1:3; აკადემისკი — კოლდინგი 4:1; კიოგე — ბრიონსპიოი 2:0; რანდერსი — ფრედერისია 4:1

ინგლისი

პირველი ლიგა. გადასასვლელი კლეი ოფი. ფინალი

სუნსი 2:2დდ.(პენ.3:4, 2:2) ბარნსლი

მეორე ლიგა. გადასასვლელი კლეი ოფი. ფინალი

გრიმსბი 0:1 ჩელტენჰემი

ნორვეგია

ტიპელიგა. X ტური

ლილესტრომი — სანდეფიორდი 1:2; რუსენბორგი — ჰამ კამი 0:3; სტარტი — სტაბეკი 1:0; ვოლერენგა — მიოლდე 2:0; ვიკინგი — ოდ გრენლანდი 1:0; ბრანი — ლინი 2:0. *ფრედრიკსტადი — ტრომსიო დღეს გაიმართება*

ბრანი	10	7	3	0	19:7	24
ლილესტრომი	10	6	3	1	19:11	21
ოდ გრენლანდი	10	3	5	2	11:8	14
რუსენბორგი	10	3	5	2	14:12	14
სანდეფიორდი	10	4	2	4	11:13	14
ვიკინგი	10	3	4	3	9:9	13
ჰამ კამი	10	3	3	4	13:12	12
სტაბეკი	10	2	6	2	10:10	12
ვოლერენგა	10	3	3	4	9:10	12
მიოლდე	10	3	2	5	10:13	11
ლინი	10	3	2	5	9:13	11
სტარტი	10	2	4	4	8:12	10
ფრედრიკსტადი	9	2	3	4	7:14	9
ტრომსიო	9	1	3	5	6:11	6

I დივიზიონი. XI ტური

ბოდიო გლიმტი — კონგსვინგერი 5:0; ფოლო — სოგნდალი 0:0; ჰიოდი — სპარტა 0:3; ჰიონეფოსი — მოსი 0:0; ლოვ ჰამი — ჰაუგესუნდი 1:1; სტრიომსგოდსეტი — ტრიომსდალენი 2:1. *ბრინი — ჰორს გრენლანდი და ოსლო იოსტი — ალესუნდი დღეს გაიმართება*

ბელგია

გადასასვლელი კლეი ოფი. III ტური

გენელი 2:1 ვიგორი
ლოვენელი 2:1 ლიერსი

უკრაინა

სუპერლიგა. VII ტური

ლიუნგსკილე — ატვიდაბერგი 2:2; ქვიდინგი — სუნდსვალი 1:1; ასირიანსკა — ლანდსკრონა 2:1; ბრომაპოიკარნა — დეგერფორსი 1:0; ნორჩოპინგი — უმეა 0:0; იორებრო — ფალკენბერგი 1:0; ტრელებორგი — მიალბი 1:0

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XXIX ტური

ჰონვედი — დებრეცენი 0:1; ფეჰერვარი — შოპრონი 2:2; ფერენცვაროში — ტატაბანია 2:3; კაპოშვარი — ვაშაში 4:1; ლომბარდ პაპა — პეჩი 3:1; მტკ — დიოშდიორი 4:0; ზალაეგერსეგი — რეკეი 3:0; დიორი — უიპეშტი 2:5

ავსტრია

I დივიზიონი. XXXVI ტური

აუსტრია (ლ) — შვანენშტადტი 2:0; გრატკორნი — ალტახი 1:1; კერნტენი — კაპფენბერგი 2:4; ლინცერი — კუფშტაინი 3:0; ლეობენი — აუსტრია (შ) 4:0

ესპანეთი

სეგუნდადივიზიონი. XXXIX ტური

მალაგა B — ალმერია 3:1; ფეროლი — ტენერიფე 2:3; ლორკა — ეიბარი 1:0; მურსია — ერკულესი 3:1; ლევანტე — ვალიადოლიდი 2:1; უელვა — კასტელიონი 2:2; ლეიდა — რეალი B 2:1; ალბასეტე — ხერესი 2:0; ელჩე — სიუდად მურსია 0:0; ხიმნასტიკი — ნუმანსია 1:0; პოლი ეხიდო — სპორტინგი 1:0

ხიმნასტიკი	39	23	5	11	47:35	74
უელვა	39	20	12	7	61:30	72
ლევანტე	39	19	12	8	51:38	69
ლორკა	39	19	10	10	57:39	67
სიუდად მურსია	39	18	11	10	50:42	65
ალმერია	39	18	7	14	48:38	61
ხერესი	39	16	12	11	54:43	60
ნუმანსია	39	17	9	13	43:45	60
რეალი B	39	16	7	16	50:42	55
ალბასეტე	39	14	10	15	40:52	52
მურსია	39	13	12	14	39:36	51
ვალიადოლიდი	39	13	12	14	51:51	51
ელჩე	39	13	11	15	45:52	50
სპორტინგი	39	11	16	12	37:33	49
პოლი ეხიდო	39	14	7	18	42:49	49
ტენერიფე	39	13	9	17	50:57	48
ერკულესი	39	12	12	15	36:45	48
კასტელიონი	39	12	11	16	40:47	47
ლეიდა	39	11	10	18	40:48	43
ფეროლი	39	7	15	17	42:58	36
მალაგა B	39	7	11	21	33:58	32
ეიბარი	39	5	15	19	25:43	30

სლოვაკეთი

პირველი ლიგა. XXXV ტური

ბანსკა ბისტრიცა — რუჟომბეროკი 0:5; ინტერი — ჟილინა 1:1; ნიტრა — დუბნიცა 2:2; ტრენჩინი — არტმედია 3:1; ტრნავა — პუხოვი 1:0

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა. X ტური

ნიუ იორკი — დალასი 1:2; სოლტ ლეიკი — კოლორადო 2:2; ნიუ ინგლენდი — ჰიუსტონი 1:1; კანზასი — ვაშინგტონი 1:3; ჩივასი — ჩიკაგო 1:0

სლოვენია

I ლიგა. XXXV ტური

პრიმორიე — დომზალე 0:0; ნაფტა — ნოვა გორიცა 1:4; კოპერი — პუბლიკუმი 2:2; მარიბორი — დრავა პტუი 2:1; რუდარი — ბელა კრაინა 2:2

იტალია

სერია B. XLII ტური

ატალანტა — მოდენა 0:1; ბარი — ტრიესტინა 1:1; ბოლონია — კატანზარო 3:0; კატანია — ალბინოლეფე 2:1; ჩეზენა — ვერონა 2:1; კროტონე — ბრეშა 4:2; მანტოვა — პესკარა 0:0; პიაჩენცა — არეცო 2:3; ტერნანა — ფელინო 0:2; ტორინო — კრემონეზე 3:0; ვიჩენცა — რიმინი 0:0

საბოლოო ცხრილი

ატალანტა	42	24	9	9	61:39	81
კატანია	42	21	13	8	66:43	76
ტორინო	42	21	13	8	51:31	76
მანტოვა	42	18	15	9	46:35	69
მოდენა	42	17	16	9	59:41	67
ჩეზენა	42	18	12	12	66:54	66
არეცო	42	17	15	10	45:34	66
ბოლონია	42	16	16	10	55:42	64
კროტონე	42	18	9	15	56:48	63
ბრეშა	42	15	15	12	54:44	60
პიაჩენცა	42	13	15	14	56:52	54
პესკარა	42	14	12	16	41:50	54
ბარი	42	11	18	13	43:47	51
ტრიესტინა	42	12	15	15	44:51	51
ვერონა	42	10	19	13	42:41	49
ვიჩენცა	42	13	10	19	38:49	49
რიმინი	42	11	15	16	42:49	48
ალბინოლეფე	42	10	16	16	38:52	46
აველინო	42	11	13	18	42:62	46
ტერნანა	42	7	18	17	36:58	39
კრემონეზე	42	6	12	24	36:60	30
კატანზარო	42	7	8	27	27:62	29

სერია C1/A. გადასასვლელი კლეი ოფი. ნახევარფინალი. პირველი მატჩები

პავია 1:1 მონცა
სალერნიტანა 2:1 ჯენოა

სერია C1/A. კლეი აუტი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

პრო სესტო 0:0 *სან მარინო* (0:1)
***სამბენედეტეზე* 4:0 ლუმეცანე (1:3)**

სერია C1/B. გადასასვლელი კლეი ოფი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

ფროზინონე 0:0 სანვოვანეზე (0:0)
ს. ტორესი 0:1 გროსეტო (0:1)

სერია C1/B. კლეი აუტი. ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

აკირეალე 1:1 *იუვე სტაბია* (1:2)
პიზა 2:1 *მასეზე* (0:1)

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა. XXXVI ტური

ლევერკუზენი (მ) — მიუნსტერი 1:3; დიუსელდორფი — კილი 3:0; ემდენი — ვატენშაიდი 1:0; ობერჰაუზენი — კარლ ცაისი 1:0; ერფურტი — ესენი 0:1; ზანკტ პაული — ჰამბურგი (მ) 1:1; ლიუბეკი — ოსნაბრიუკი 2:0; ვერდერი (მ) — კიოლნი (მ) 2:2; ვუპერტალი — ქემნიცი 3:1

სამხრეთ რეგიონალლიგა. XXXIV ტური

აუგსბურგი — ეშბორნი 7:0; ბაიერნი (მ) — ტრირი 1:1; დარმშტადტი — ბაიროითი 6:0; ელვერსბერგი — შტუტგარტი (მ) 1:0; ჰოფენჰაიმი — კარლსრუე (მ) 3:1; კობლენცი — მიუნხენი (მ) 2:1; პფულენდორფი — რეგენსბურგი 0:0; კიკერსი — კაიზერსლაუტერნი (მ) 2:3; აალენი — ვეჰენი 1:1

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		29 მაისი						
21:00	36	ფრედრიკსტადი-ტრომსიო	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		29 მაისი						
21:00	43	ბრინი-პორს გრენლანდი	1.45	4.20	6.00	1.07	1.16	2.47
21:00	44	მანგლერუდი-ალესუნდი	10.00	5.00	1.23	3.33	1.09	1.00
		ამხანაგური მატჩები						
		29 მაისი						
23:45	124	აშშ-ლატვია	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
19:00	125	განა-იამაიკა(ნ)	1.60	3.40	5.00	1.08	1.21	2.02
		30 მაისი						
20:00	126	ჩეხეთი-კოსტა რიკა	1.40	4.10	6.30	1.04	1.14	2.48
20:00	128	პოლონეთი-კოლუმბია	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
22:00	129	არგენტინა-ანგოლა(ნ)	1.32	4.10	8.20	1.00	1.13	2.73
22:30	130	გერმანია-იაპონია	1.40	3.80	6.80	1.02	1.16	2.43
22:45	131	ჩილე-კოტ. დიუარი(ნ)	3.50	3.10	1.95	1.64	1.25	1.19
23:05	133	ინგლისი-უნგრეთი	1.30	4.30	8.50	1.00	1.12	2.85
22:00	135	ს.არაბეთი-თურქეთი(ნ)	5.50	3.40	1.55	2.10	1.20	1.06
		ევ. შესარჩევი მატჩები(21)						
		29 მაისი						
22:45	122	დანია(21)-უკრაინა(21)	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
22:45	123	ჰოლანდია(21)-იტალია(21)	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21

			1	2
		ჩოგბურთი.კაცები		
		Roland Garros		
		29 მაისი		
13:00	200	მირნი-მიულერი	1.45	2.35
13:00	201	მასუ-მალისი	1.35	2.75
13:00	202	ბერდიხი-ფ ლოპესი	1.25	3.00
13:00	203	დი მაურო-გიკველი	1.45	2.30
13:00	204	კიფერი-მელზერი	1.50	2.10
13:00	205	ანჩიჩი-ხილი	1.03	7.00
13:00	206	კაპდევილე-რუსედსკი	1.50	2.20
13:00	207	ჯინეფრი-მონტანესი	2.20	1.50
13:00	208	ვლიეგენი-დლოუგი	1.20	3.80
13:00	209	ვასკე-ვანგ იუ	1.15	4.00
13:00	210	ნოვაკი-ტურსუნოვი	1.35	2.50
13:00	211	გროსჟანი-პაველი	1.30	3.00
13:00	212	ნ ლაპენტი-მუდი	1.35	2.75
13:00	213	ი ნიემინენი-სლიუტერი	1.11	4.50
13:00	214	კოლშრაიბერი-მარაჩი	1.50	2.20
13:00	215	დავიდენკო-სპეიდი	1.02	6.00
13:00	216	სტარაჩე-სარეტა	1.50	2.20
13:00	217	მახუტი-ვანეკი	1.80	1.80
13:00	218	ო როხუსი-ფაურელი	1.11	4.30
13:00	219	ბაგდატისი-პორტასი	1.35	2.40
13:00	220	ტიპსარევიჩი-ბენეტო	1.80	1.80
13:00	221	სანგინეტი-ბრაჩიალი	1.90	1.65
13:00	222	შტეპანეკი-ლოდრა	1.20	3.30
13:00	223	დ ფერერი-გარსია ლოპესი	1.20	3.30
13:00	224	ბიორკმანი-ჩარდი	1.90	1.65
13:00	225	რამირეს იდალგო-აკიონი	1.35	2.80
13:00	226	ტ იოჰანსონი-კ როხუსი	1.80	1.80
13:00	227	ვერდასკო-ჩელა	1.60	1.95
13:00	228	ჯ ბლეიკი-სრიჩაფანი	1.12	4.50
13:00	229	ფ გონსალესი-საფინი	1.55	2.10
13:00	230	ნადალი-სოდერლინგი	1.01	7.50
13:00	231	ფალა-გიმელსტრობი	1.40	2.40
13:00	232	ვოლანდრი-პლესი	1.04	5.50
13:00	233	იუენი-ტუკსარი	1.40	2.40
		ჩოგბურთი.ქალები		
		Roland Garros		
		29 მაისი		
13:00	234	ასაგოე-პერი	1.80	1.80
13:00	235	ფედაკი-ბრანდი	1.45	2.20
13:00	236	გოლოვინი-ჩენგი	1.90	1.65
13:00	237	გრენეფელდი-პინი	1.15	3.50
13:00	238	დემენტიევა-სუხა	1.04	5.50
13:00	239	დეში-ფორეცი	1.45	2.30
13:00	240	დიას ოლივა-მარტინეს გრანადი	1.60	1.95
13:00	241	ივანოვიჩი-სტოსური	1.30	2.50
13:00	242	კამერინი-გალიარდი	1.45	2.30
13:00	243	კასტანო-ნაკამურა	1.35	2.50
13:00	244	კირილენკო-ბრემონდი	1.15	3.80
13:00	245	კ კლიისტერსი-რაზანო	1.04	6.00
13:00	246	კუკალოვა-გარბინი	1.60	2.10
13:00	247	კინგი-კუტუზოვა	1.80	1.80
13:00	248	მისკინა-მირზა	1.25	3.00
13:00	249	პასკუალი-კორნე	1.40	2.40
13:00	250	პეტროვა-მორიგამი	1.04	5.50
13:00	251	პეშკე-კანეპი	1.65	1.95
13:00	252	პირი-სავჩუკი	1.15	4.20
13:00	253	პირნიკოვა-სანჩეს ლორენცო	1.65	1.95
13:00	254	ხანტუჩოვა-დომინგესი	1.35	2.80
13:00	255	ხინგისი-რაიმონდი	1.04	5.50
13:00	256	შრუფი-ონდრაშკოვა	1.70	1.90
13:00	257	ენინი-ანი	1.03	5.80
13:00	258	კრეიბასი-იაკიმოვა	1.85	1.70
13:00	259	იან ზი-ჯექსონი	1.70	1.90
13:00	260	დუშევინა-როდიონოვა	1.11	5.00
13:00	261	ბიჩკოვა-სუნი	1.55	2.20
13:00	262	პენგი-ვესნინა	1.45	2.20
13:00	263	ლიხოვცევა-სპრემი	1.65	1.95
13:00	264	სკიავონი-ა ბონდარენკო	1.12	4.80
13:00	265	კუზნეცოვა-გრენვილი	1.03	6.00
13:00	266	იანკოვიჩი-პოუს ტიო	1.30	2.80
13:00	267	ვაიდისოვა-დომაჩოვსკა	1.20	3.50
13:00	268	ვ უილიამსი-ბამერი	1.06	5.50
13:00	269	ლაინე-ფედოსოვა	1.45	2.30
13:00	270	არვიდსონი-ვენტო	1.30	2.80
13:00	271	გაიდოსოვა-კოენ ალორო	1.55	2.20
13:00	272	პ შნაიდერი-კრაიჩეკი	1.20	3.65
13:00	273	სრებოტნიკი-სმაშნოვა	1.65	2.00
13:00	274	კოსტანიჩი-ხარკლეროდი	1.45	2.30
13:00	275	ვინჩი-სრომოვა	1.40	2.50
13:00	276	მიულერი-ვიერინი	1.35	2.40
13:00	277	პენეტა-მატეკი	1.10	4.50
13:00	278	ნ ლი-ფრაზიე	1.10	4.50
13:00	279	სანტანჯელო-პარა	1.15	4.00

ფრენბურთი



ოლგა ტოკო და მისი ლატვია გერმანიას ვერ გადაახტა

სად არიან კაცები?!

ევროპელი ქალები ქართველთა გულგრილობამ გააკვირვა

27 მაისი

საქართველო 0:3 გერმანია
9:25, 13:25, 11:25
საფრანგეთი 3:0 ლატვია
25:20, 25:21, 25:16

28 მაისი

საქართველო 0:3 ლატვია
16:25, 12:25, 10:25
გერმანია 3:0 საფრანგეთი
26:24, 25:17, 25:16

„ყველაფერი ძალიან კარგად და მშვენივრად იყო ორგანიზებული. ერთდაერთი, რაზეც გული მწყდება, ეს მაყურებლის პასიურობაა. ბოლოს და ბოლოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველი წრე იყო და ესეც რომ არა, ძალიან მიკვირს ქართველი კაცების გულგრილობა, ხომ შეიძლებოდა, გოგონების სანახავად მაინც მოსულიყვნენ. სავსე ტრიბუნების წინ თამაში, სადაც არ უნდა იყო, გაცილებით დიდი მოტივაციაა, ვიდრე გახვიდე და სიცარიელეში ითამაშო" — ეს გვითხრა ნამატჩევს მსოფლიო ვარსკლავმა და გერმანელთა ლიდერმა, წარმოშობით ბაშკირელმა ანგელინა გრიუნმა.

გერმანიამ ისე განვლო 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ჯგუფური ეტაპის პირველი წრე, სეტი რაა, ისიც არ წაუგია. გერმანიამ თბილისში პრაქტიკულად გაინაღდა პირველი ადგილი და შესაბამისად ევროპის ჩემპიონატის საგზური. მეორეადგილოსანი კი ალბათ საფრანგეთი იქნება, რომელიც თბილისში მხოლოდ გერმანიასთან დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა, სამაგიეროდ, საქართველოსა და ლატვიას უპრობლემოდ მოუგო, თანაც ჯგუფური ეტაპის მეორე წრეს მასპინძლობს.

ერთი სიტყვით, თბილისიდან ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირ გერმანია წავა. საფრანგეთი კი ალბათ კანში გაინაღდებს პლეი ოფის საგზურს, იქ, სადაც ფრენბურთელების ჩასვლისას კინოფესტივალი უკვე დასრულებული იქნება.

საქართველოს ნაკრები კი ამ მატჩებით კიდევ გაიზარდა. სამწუხაროდ, ჩვენებისთვის ეს საკმარისი არ არის და კარგი იქნება, თუ ფედერაცია და ქართული სპორტის ხელმძღვანელობა გოგონებს ევრო გამოცდილებას არ მოაკლებს და შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენინებს.

და ლატვია... ლატვიელთა ლიდერსა და მშვენიერი ვიქტორია რავას მეგობარს, „კანის" მექულეს ოლგა ტოკოს გული ძალიან დასწყდა. „ვიფიქრე" ქართველები გერმანიასთან მაინც ჩვენ დაგვიჭერდნენ მხარს. ვიქტორია რავამ მითხრა, რომ საქართველოში ბალტიისპირელები უყვართ, მაგრამ, სამწუხაროდ, ქომაგობა არ იყო..."

ნატურნირევს ყველაზე საინტერესო კომენტარებიდან კი ესენი შევარჩიეთ.

ნუგზარ მიქაძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „გულშემატკივარმა იცოდა, რომ ისეთ გრანდებთან თამაში, როგორიც გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნის გუნდებია, ძალიან გაგვიჭირდებოდა. ჩვენებმა თავიანთი შესაძლებლობა მაქსიმალურად გამოავლინეს, თუმც ფსიქოლოგიური ფაქტორი ვერ გადალახეს. გერმანელები კლასით მაღალი დონის არიან, მათთან თამაშსა და ბრძოლას მომზადება, შრომა და დრო სჭირდება. მჯერა, რომ საქართველოს ნაკრები ევროპულ დონეს მიაღწევს და ქომაგიც თამაშით კმაყოფილი დარჩება. ისიც ბედნიერებაა, რომ ამ დონის გუნდები საქართველოს ეწვივნენ. მაყურებელიც მცირერიცხოვანი იყო, შეიძლება იმიტომ, რომ სათანადო რეკლამა არ არის, მით უმეტეს, თამაშები ტელევიზიითაც არ გადაიცემოდა. რა თქმა უნდა, ყველას გვინდა, რომ თამაშიდან ქომაგი ნასიამოვნები წავიდეს. მიუხედავად იმისა, რომ წავაგეთ, ტაში მაინც ისმოდა. დარწმუნებული ვარ, არა მარტო გოგონები, არამედ ბიჭებიც გაგვახარებენ თავიანთი თამაშით. უბრალოდ, დროა საჭირო."

ანგელინა გრიუნი, გერმანიის ნაკრების ლიდერი: მოხარული ვარ, რომ გავიმარჯვეთ. საქართველოს ნაკრები საკმაოდ კარგად თამაშობდა, მაგრამ ჩვენ უფრო მეტი გამოცდილება გვაქვს. ჩვენი ჯგუფის გუნდებიდან აქამდე არც ერთთან არ გვითამაშია. მათ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღიათ. ვეცდებით, მეორე წრეშიც ღირსეულად ვითამაშოთ, გავიმარჯვოთ და ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდეთ.

იან ლუბინსკასი, ლატვიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „ამ მატჩებისთვის ჩვენ სერიოზულად ვემზადებოდით. იყო ისეთი მომენტები, როდესაც ჩვენს მოთამაშეებს შეტევაზე გადასვლა და მისი წარმატებით დასრულებაც შეეძლოთ, მაგრამ ისინი უამრავ შეცდომას უშვებდნენ. საკუთარ ნახევარზე ბურთის დაკარგვა მართლაც უპატიებელია, მეტოქეს კი ეს სტიმულს მატებს. რაც შეეხება მეორე წრეს, შევეცდებით, უკეთ ვითამაშოთ."

თიკა ასლანიშვილი
თამუნა ზერმადინი

ძიუდო

ევროპის ჩემპიონატი
ტამპერე. 26–28 მაისი

ბოლო მონაპოვარი: ბრინჯაოს ხანჯალი

81 კგ	90 კგ
1 სერგეი შუნძიკოვი (ბელარუსი)	1 ივან პერშინი (რუსეთი)
2 ჯუზეპე მადალონი (იტალია)	2 დავიდ ალარზა (ესპანეთი)
3 ჟილომ ელმონი (ჰოლანდია)	3 რობერტო მელონი (იტალია)
3 სერგეი აშვანდენი (შვეიცარია)	3 ვინსტონ გორდონი (ბრიტანეთი)

100 კგ	+100 კგ
1 რუსლან გასიმოვი (რუსეთი)	1 ანდრეას ტოლცერი (გერმანია)
2 დანიელ ჰადფი (უნგრეთი)	2 იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთი)
3 დიმიტრი პეტერსი (გერმანია)	3 ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო)
3 პეტერ კოუსინსი (ბრიტანეთი)	3 ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)



ზვიად ხანჯალიაშვილმა ფინეთიდან ბრინჯაო წამოიღო

ტამპერეს „ყინულის დარბაზში" ქართველებისთვის მსუბუქი ოქროთი დაწყებული ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი მძიმე ბრინჯაოთი დასრულდა. ევროპის ჩემპიონატზე შემთხვევით მოხვედრილმა მძიმეწონოსანმა ზვიად ხანჯალიაშვილმა კვარცხლბეკზე ასვლა შეძლო. არადა ორმეტრიან ქართველს ფავორიტებში არავინ მოიხსენიებდა. ზვიადი ხომ მძიმე ტრავმის გამო ლამის ორი წელი არ გასულა ტატამზე, საერთაშორისო ტურნირებზე მხოლოდ იანვრიდან დაბრუნდა, მედლების მოპოვებაც შეძლო, თუმც შიდა კონკურენციაში ლაშა გუჯეჯიანს ვერ აჯობა და ბოლო შეკრებაზე ბორჯომში მის სპარინგობას სწევდა.

გუჯეჯიანის ტრავმამ ხანჯალიაშვილს ევროსაგზური ფინეთში გამგზავრებამდე სამი დღით ადრე არგუნა და მიუხედავად იმისა, რომ მოსამზადებელი ეტაპი სრული დატვირთვით გაიარა, ბევრს მაინც ეჭვი გაუჩნდა, მოასწრებდა თუ ვერა ტურნირისთვის ფსიქოლოგიურად გაწყობას. ეგებ პირველსავე წრეში წაგების მიზეზადაც ეს დაესახელებინათ, რომ არა ზვიადის მძლეველი პოლონელი იანუშ ვოინაროვიჩის ნახევარფინალში გაღწევა და ჩვენებურის რეპეშაჟში გადასვლა.

ბრინჯაოს გზა ქართველმა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ჰოლანდიელი დენის ვან დერ ჰესტის დაიპონებით დაიწყო. იპონებითვე სძლია ფრანგ პიერ რობენსა და ესტონელ მარტინ პადარსაც და კარიერაში პირველი დიდი მედალი მოიგო. ჩემპიონი კი გერმანელი ანდრეას ტოლცერი გახდა. ფინალში მან ვოინაროვიჩი გააკრა ტატამს.

დარჩენილ სამ წონაში — 81, 90 და 100 კილოგრამებში ქართველებს თავი არაფრით გამოუჩენიათ. შედარებით ახლოს მედალთან გიორგი ყიზილაშვილი (100 კგ) მივიდა მასპინძელთა ჯილა ტიმო პელტოლას ძლევის შემდეგ მეოთხედფინალში ოლიმპიურ ჩემპიონთან, ბელარუს იგორ მაკაროვთან იუკოთი წააგო. რეპეშაჟშიც ერთი ეტაპის გავლა მოახერხა - ჰოლანდიელ დენი მეუვსენს გასცდა, გერმანელ დიმიტრი პეტერსს კი ველარ.

ირაკლი ცირეკიძემ (90 კგ) მხოლოდ პირველი წრის გავლა შეძლო. თურქ კოცან ბურჰანთან გამარჯვებას შავკანიან ბრიტანელ ვინსტონ გორდონთან მარცხი მიაყოლა და რადგან მერე გორდონმაც წააგო, ბრინჯაოს შანსიც დაკარგა. რეპეშაჟში ვერც გრიგოლ მამრიკიშვილმა (81 კგ) გააღწია. ცირეკიძისგან განსხვავებით, მან ერთი მეტოქის დამწუხრებაც ვერ მოახერხა — აზერბაიჯანელ მეჰმან აზიზოვთან დამარცხდა.

ევროტატამზე ისტორიაში პირველად გავიდა საქართველოს ქალთა ნაკრები. გოდერძი ველიჯანაშვილის ოთხეულისგან მედლების მოგებას არავინ ითხოვდა. საინტერესო ის უფრო იყო, შეძლებდნენ თუ ვერა ჩვენი ქალები თუნდაც ერთი წრის გადალახვას. აიმან კალიევამ (52 კგ), დუსკა ქერიმოვამ (57 კგ) და ნინო ოძელაშვილმა (70 კგ), სამწუხაროდ, მხოლოდ თითოჯერ იჭიდავეს. ისტორიული გამარჯვება კი გუშინ მძიმეწონოსანმა ირინა ლეონიძემ მოიპოვა — გერმანელ სანდრა კოეპენს იპონით აჯობა.

ოთარ მაღლაკელიძე

სროლა

მესამე ადგილს ორი მეათედი დააკლდა

მიუნხენში ჩატარებულ ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასის ეტაპზე ნინო სალუქვაძეს მედლამდე ერთი ნაბიჯილა დააკლდა. 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში ქართველმა წინასწარ სროლებში 385 ქულა დააგროვა და სამ მეტოქესთან ერთად ფინალში მეხუთე შედეგით გააღწია. ფინალში კი 99,9 ქულას მოუყარა თავი და ერთი საფეხურით წინ წაიწია. მესამეადგილოსან ჩინელ ლუნა ტაოს სალუქვაძე ჯამში მხოლოდ ორი მეათედით ჩამორჩა.

25 მეტრზე სპორტული პისტოლეტით სროლაში ნინო ფინალს მიღმა დარჩა — 581 ქულით მეთერთმეტე ადგილზე გავიდა.

მიუნხენში ქართველმა კაცებმაც ისროლეს, თუმც არათუ ფინალში, ასეულშიც კი ვერ შევიდნენ. 10 მეტრზე პრევმატური პისტოლეტით სროლაში სერგი ჩიტაიშვილმა 104-ე ადგილი დაიკავა, ხოლო ლევან ქადაგიძემ — 116-ე. სულ კი 119 მონაწილე იყო.

ოთარ მაღლაკელიძე

ქართველები უცხოეთში

ბოის-აუტი

ვლადიმერ ბოისასთვის სეზონი დამთავრდა

ისევაც შემცირებულ ლეგიონერთა სიას გასულ კვირაში კიდევ ერთი ჩვენიანი გამოაკლდა. ვლადიმერ ბოისას „სიენამ" რომის „ლოტომატიკასთან" მეოთხედფინალი წააგო და სერია A-ს ჩემპიონობისკენ მიმავალი გზიდან გადავიდა. სერიის პირველი მატჩის მოგების შემდეგ სიენელებმა რომაელებთან ზედიზედ სამი მატჩი წააგეს და...

მიუხედავად პრინციპულობისა, ხუთშაბათს გამართული „რომა" — „სიენა" ძალიან უინტერესო გამოდგა. მასპინძლებმა მხოლოდ პირველი მეოთხედი აცალეს სიენელებს და მცირე შესვენების შემდეგ რომ მისდგნენ, სულ ბდღვირი ადინეს.

ისევე, როგორც დანარჩენი თანაგუნდელები, ვლადიმერ ბოისაც ვერ იყო იშტაზე. წინა მატჩებში ნაყოჩაღებს ამჯერად ხელი მოეცარა და 21-წუთიანი ბურთაობა ოდენ 2 ქულით გაასრულა. სიმართლე ითქვას, ბოისას ცუდად არ უსვრია, მხოლოდ ერთი ტყორცნა აუცდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ მას მხოლოდ სამჯერ მიეცა მეტოქის ფარის დალაშქვრის საშუალება — მოწოდების სიმაღლეზე იყო რომაელთა დაცვა.

ასე და ამგვარად, „სიენასთვის" და შესაბამისად ბოისასთვის სეზონი ნაადრევად დასრულდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ გუნდმა ვერც ევროლიგაში გაშალა ფრთები, შეიძლება ითქვას, რომ სიენელებს სეზონი ჩაუვარდათ.

მეოთხედფინალში იღწვის შემონდ უილიამსიც, საქართველოს ნაკრების ამერიკელი ჭლეიმეიკერი, ოლონდ, ბოისასგან განსხვავებით, მის გუნდს მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი პერსპექტივა აქვს. ის კი არა, „ბარსელონა" ცალი ფეხით ნახევარფინალში იყო, როცა პარასკევ საღამოს სერიაში 0:2 ჩამორჩენილ „რეალს" მასპინძლობდა. კატალონიელები საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე 4 ქულით ივებდნენ, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ 8 ქულით წააგეს. მადრიდელებმა სამქულიანების სეტყვა დაატეხეს თავს მასპინძლებს და სერიაში მშრალი ანგარიშით დამარცხება თავიდან აიცილეს.

ამ მატჩის ბომბარდირი უილიამსი გახდა 22 ქულით, რომელიც თავისიანებს ასევე 6 პასითა და 2 მოხსნით შეეწია, მაგრამ ბარსელონელთათვის ამანაც არ იკმარა

და მომდევნო მატჩი მადრიდშია. თუ კიდევ „რეალი" იმარჯვებს, სერიის გადამწყვეტი შეხვედრა კატალონიის მთავარქალაქში გაიმართება.

დაბოლოს, სჩემპიონო სერიაზე, რომელშიც მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპია" იღწვის და გასულ კვირაში ორი მატჩიც მოიღია. შარშანდელის არ იყოს, ოლიმპიელთა ამჟამინდელი საჩემპიონო მოცილე კვლავ „სლოვანია". მოედნის უპირატესობა „სლოვანისაა", რომელიც ამ გუნდმა ფინალური სერიის პირველივე მატჩში დაკარგა, როცა შინ წააგო, მაგრამ მომდევნო შეხვედრაშივე დაიბრუნა.

„ოლიმპიამ" და მისმა ქართველმა უკანახაზელმა ორი განსხვავებული მატჩი ითამაშეს. სერიის გახსნის შეხვედრაში მარკოიშვილმა 11 ქულა მოუნაგრა „ოლიმპიას" და გუნდმაც იმარჯვა. მეორეში კი „ოლიმპიამ" შინ დასანანად წააგო, მანოს ანგარიშზე კი მხოლოდ 5 ქულა დაგროვდა. ფინალური სერია სამ მოგებამდეა და აქედან გამომდინარე, მარკოიშვილის გუნდს საჩემპიონოდ კიდევ ორი თამაშის მოგება მართებს.

ირაკლი პერტაია

სახელი გვარი	გუნდი	ტურნირი	მეტოქე	სად	ანგარიში	წთ	ქ	მ	პ
ვლადიმერ ბოისა	სიენა	სერია A	რომა	ს	63:84	21	2	0	0
შემონდ უილიამსი	ბარსელონა	ესპანეთის ჩემპიონატი	რეალი	შ	76:84	33	22	2	6
მანუჩარ მარკოიშვილი	ოლიმპია	სოლვენიის ჩემპიონატი	სლოვენი	ს	73:62	29	11	2	1
			სლოვანი	შ	59:67	19	5	2	0

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

2006 NBA Playoffs

მაიამიმ დეტროიტი გადაფარა

27 მაისი

აღმოსავლეთის ფინალი

დეტროიტი 1:2 მაიამი

მაიამი 98:83 დეტროიტი

მაიამი: უილიამსი (7), ვეიდი (35), უოლკერი (11), ჰასლემი (10), ონილი (27 ქულა, 12 მოხსნა); ჰეიტონი (2), პოუზი (2), მურნინგი, დ. ანდერსონი

დეტროიტი: ბილაფსი (31), ჰამილტონი (20), პრინსი (3), რ. ვოლესი (11 ქულა, 10 მოხსნა), ბ. ვოლესი (2); მაკდაიესი (9), დეკერი (4), ჰანტერი (3), დევისი, დელფინო

„მაიამი ჰითმა" დაძაბულ ბრძოლაში შინ დასცა „დეტროიტ პისტონზი" და სერიაში მეორედ დაწინაურდა. ეს დაძაბულობა, შეიძლება ანგარიშში არ იკითხებოდეს, მასპინძლებმა ხომ 15-ქულიანი სხვაობით დასცეს ბოლო სამი წლის აღმოსავლეთის უძლიერესი გუნდი, მაგრამ თავად გამარჯვებულები არ არიან იმ აზრზე, რომ ეს წარმატება იოლად მიუვიდათ.

ამ შეხვედრაში „მაიამის" თავკაცმა პატ რაილიმ აშკარად აჯობა დეტროიტელ ოპონენტ ფლიპ სანდერსს. მისი მითითებით, მაიამელებმა საკუთარ სამწვანიანში ისეთი ცოცხალი კედელი ამოაშენეს, ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა. შედეგად მასპინძელთა დამწყები ხუთეულის მეფარეებმა — ონილმა, ჰასლემმა და უოლკერმა ჯამში 48:16 აჯობეს პრინსს, ბენ და რაშიდ ვოლესებს. „მაიამის" დარჩა ფარიც — მოხსნებში 40:27 დაჩაგრა სტუმრები.

რაკი სამწვანიანში ფეხი ვერ მოიკიდეს, დეტროიტელებს ისღა დარჩენოდათ, უკანა ხაზი აემუშავებინათ და ბილაფს-ჰამილტონის წყვილმა დიდი პრობლემებიც შეუქმნა ფლორიდელებს, მაგრამ არც მაიამელთა დაბლები თვლემდნენ — დუეინ ვეიდმა ერთერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა სეზონში და იეზებ კარიერაშიც კი.

„მაიამიმ" პირველი ტაიმი 49:38 მოიგო და ბოლო მეოთხედშიც 12-ქულიანი უპირატესობით შეაბიჯა, მაგრამ აქ ცოტა მოდუნდა და „დეტროიტმაც" უმალ ისარგებლა ამით. სტუმრების გაქცევას სათავე ანტონიო მაკდაიესმა დაუდო, ვინაც ჯერ ორიანი ჩააგდო, მერე საჯარიმო და სანამ შემდეგ შეტევებში მასპინძლები ბურთებს კარგავდნენ, რაშიდ ვოლესმა ორიანი მიითვალა, ჩონსი ბილაფსმა კი წყვილი სამიანი. ამგვარად „დეტროიტმა" 4-წუთიანი მონაკვეთი 11:0 მოიგო, 12-ქულიანი სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა და ალბათ წინაც გაიჭრებოდა, დუეინ ვეიდს ხელი რომ არ გამოელო. მასპინძლები სწორედ ჯელმა ბომბარდირმა იხსნა, რომელმაც დაცვაშიც ივარგა და შეტევაშიც — ჯერ გაცილებით მაღალ მაკდაიესს დაუფარა, შემდეგ კი შეტევაში გააკეთა 3 ქულა და თავის გუნდს საბოლოოდ აარიდა საფრთხე.

26 მაისი

დასავლეთის ფინალი

დალასი 1:1 ფინიქსი

დალასი 105:98 ფინიქსი

დალასი: ტერი (18), ჰარისი (9), ჰოვარდი (29), ნოვიცკი (30 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), ვან ჰორნი (2); სტეკჰაუსი (11), დიოპი (4 ქულა, 11 მოხსნა), გრიფინი (2), დანიელსი

ფინიქსი: ნეში (16 ქულა, 11 პასი), ბარბოსა (8), ტომასი (20), მერიონი (19 ქულა, 19 მოხსნა), დიაუ (25 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი); ჰაუსი (7), ჯონსი (3)

ცვლილებული სათადარიგო იყო

პირველი მატჩის „ძალით" წაგების შემდეგ „დალას მავერიკსის" თავკაცმა აივერი ჯონსონმა შესაბამისი დასკვნები გამოიტანა და თავის გუნდს კიდევ ერთი შეხვედრის გაფლანგვის უფლება აღარ მისცა. პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ სასტარტო ხუთეულიდან სკამზე გადასვა ზორბა ცენტრი ერიკ დამპიე და მისი ადგილი არანაკლებ ზორბა სენეგალელ დესაგანა დიოპს კი არა, ამათზე გაცილებით მსუბუქ და მოძრავ კიტ ვან ჰორნს ჩააბარა.

გარდა ამისა, ჯონსონმა დაცვაში თავისი გუნდის ტაქტიკა მოწინააღმდეგეთა ლიდერ სტივ ნეშის შებოჭვაზე ააგო და ყველაზე დიდი ხეირიც აქ ნახა. დალასელებმა ნეშის ბოლომდე შეჩერება ვერ შეძლეს, სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ მაინც იხვეჭა ქულები და პასები, მაგრამ იმდენიც ვერა, რომ პირადად მოეგო ეს თამაში.

დალასელებმა ვერცხლისწყალა ფინიქსელების ბოლომდე მოშთობა მაინც ვერ შეძლეს. სტუმრებმა კვლავ აიყოლიეს მასპინძლები სწრაფ თამაშში და კარგა ხანს თავის ტემპს კარნახობდნენ, მაგრამ მერყეევ და ცვალებადი შეხვედრის ბოლო მეოთხედში „დალასმა" თავის მხარეს გადახარა სასწორი და „ფინიქსმა" აქ უკვე ვეღარაფერი გააწყო. გადამწყვეტი 12-წუთეულის დასაწყისში მასპინძლები 12:2 გაიქცნენ, მაშინ, როდესაც სტუმრებს სროლისას ხელები უკანკალებდათ და შეტევას შეტევაზე აფუჭებდნენ.

კოტე ყორღია

AFP მაიამიდან

დუეინ ვეიდმა ბენ ვოლესის „დგუშები" გააჩერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიდან წლამდე, ნაბიჯ-ნაბიჯ
ავსტრიულის ქართული დასასრული

შაბათს ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე „ავსტრიის ავიახაზების" ახალგაზრდული ტურნირი დასრულდა. 14-16 წლის 110 გოგო-ბიჭი 7 ქვეყნიდან — ასეთი იყო, ამ ტრადიციული ასპარეზობის გეოგრაფია.

„ავსტრიის ავიახაზების" სპონსორობით ეს შეჯიბრი წლეულს მერვედ გაიმართა და როგორც საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ქალბტონი *ლეილა მესხი* ამბობს, წინსვლა სახეზეა...

— წლეულს ამ ტრადიციული ტურნირის გეოგრაფია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 7 ქვეყნიდან 110-მა მონაწილემ მოიყარა თავი და ორთაბრძოლებიც საკმაოდ საინტერესო და მაღალი დონის გამოვიდა. უწინდელთან შედარებით ტურნირი უკეთესად იყო ორგანიზებული და შედეგებიც ჩვენთვის სახარბიელოა. ქართველმა ბავშვებმა საკმაოდ კარგად წარმოაჩინეს თავი და ოთხივე პირველი ადგილი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს დარჩათ. „ავსტრიის ავიახაზების" ტურნირი ნელ-ნელა უფრო იმაღლებს რეიტინგს. წლეულს ვინც პირველი წრე გაირა, ავტომატურად შევიდა ევროპის სარეიტინგო სიაში. როგორც ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ამ ტურნირით ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველაზე კარგი კი ისაა, რომ წლიდან წლამდე უკეთეს შედეგებს ვაღწევთ, როგორც სპორტული, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით.

„ავსტრიის ავიახაზების" წლევანდელ შეჯიბრში სულ ოთხი ტიტული გათამაშდა — 14 და 16-წლიან გოგო-ბიჭებში. ყველა გამარჯვებული ქართველია და აი, ისინიც: შოთიკო პაიჭაძე, მარიამ სამხანაშვილი, ნიკოლოზ ქურდაძე, ეკა გოგოძე.

როლან გაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $

პარიზული სიურპრიზი
როლან გაროსი კვირას და ფედერერის წვალებით დაიწყო

ვეტერანმა ტიმ ჰენმანმა პირველი წრე უპრობლემოდ გაიარა

გუშინდელი დღიდან საჩოგბურთო სამყაროს ეპიცენტრად პარიზი იქცა და ეს კიდევ ორი კვირა გაგრძელდება. იქ „დიდი სლემის" მეორე ტურნირი — „როლან გაროსი" დაიწყო.

საკმაოდ მოულოდნელად, წლეულს „როლან გაროსი" კვირა დღეს გაიხსნა, რაც ამ გათამაშების ისტორიას ნამდვილად არ ახსოვს. ორგანიზატორებმა, მეტ მოგებას ვნახავთ, თუ კიდევ ერთ უქმე დღეს ჩატარდება თამაშებიო და ჩოგბურთელები ერთი დღით ადრე გაიყვანეს პარიზის კორტებზე. თუმც გუშინდელი დღე მაინცდამაინც დატვირთული არ ყოფილა — სულ სამი კორტი დაკავდა და თორმეტი მატჩი გაიმართა.

გუშინვე ჩაერთო თავის სადიდსლემო ლაშქრობაში როჯერ ფედერერი. პირველ წრეში შვეიცარიელს მასპინძელ არნო კლემანთან უნდა ეთამაშა, მაგრამ ფრანგმა ტრავმის გამო ვერ შეძლო კორტზე გასვლა და მის მაგივრად პირველ ჩოგანს რეიტინგში 156-ე საფეხურზე მდგომ არგენტინელ დიეგო ჰარტფილდთან მოუწია თამაში.

„აზრზე არ ვარ, როგორ თამაშობს, მაგრამ ტურნირისთვის კარგად ვარ მომზადებული და იმედი მაქვს, რომ სიურპრიზები არ იქნება" — თქვა „მხიარულმა როჯერმა" თამაშის წინ.

ფედერერი სიურპრიზებს ვერ აცდა. მოულოდნელად, თამაში ძალიან ნერვიულად დაიწყო არა გამოუცდელმა არგენტინელმა, არამედ მრავლისმნახველმა ფედერერმა. მან საწყის სამ გეიმში 13 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც ხანდახან მისთვის სამატჩო ნორმას წარმოადგენს.

ამის საპირისპიროდ კარგად გამოიყურებოდა ჰარტფილდი, რომელიც მალე 3:0 დაწინაურდა, ცოტა მოგვიანებით კი 5-3-საც იგებდა, მაგრამ იმის გაცნობიერებამ, რომ შეეძლო, ფედერერისთვის სეტი მოეგო, ჰარტფილდი ლამის პანიკაში ჩააგდო და იმდენი უნებლიე თუ ორმაგი შეცდომა დაუშვა, რომ შვეიცარიელმა უპრობლემოდ მოიგო ზედიზედ 4 გეიმი.

არგენტინელმა მეორე სეტშიც ბევრი იბრძოლა, მაგრამ საწყისი შოკიდან გამოსულმა ფედერერმა აღარ გაუშვა ხელიდან მატჩის სადავეები და პირველი პარიზული გამოცდა წვალებით, მაგრამ მაინც ჩააბარა.

„არ მიყვარს ასეთი მატჩები — არ ვიცოდი, ვის ვეთამაშებოდი და თან ყველა ჩემს იოლ გამარჯვებას ელოდა. ეს დიდი ზეწოლაა და ადვილი გასაძლები ნამდვილად არ არის" — თითქოსდა თავს იმართლებდა შვეიცარიელი თამაშის შემდეგ.

სამაგიეროდ, კარგი სტარტი აიღო ტომი რობრედომ, რომელიც ძალიან ადვილად გაუსწორდა ტომაშ ზიბს.

აღსანიშნავია ამელი მორესმოს გარჯაც — ფრანგთა მთავარმა იმედმა საკმაოდ სტაბილურად ითამაშა და მეორე წრეში თითქმის უპრობლემოდაც გავიდა.

ქახა ლომაშვილი

28 მაისი

პირველი წრე

კაცები

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 7:5 7:6 6:2; **ტომი რობრედო** (7, ესპანეთი) — ტომას ზიბი (ჩეხეთი) 6:4 6:2 6:2; **ტიმ ჰენმანი** (ბრიტანეთი) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:3 6:4 4:6 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (3, არგენტინა) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:2 7:6 6:4; კარლოს მოია (30, ესპანეთი) — ხუან-ანტონიო მარინი (კოსტა-რიკა) 7:5 6:3 6:3; ხოსე აკასუსო (26, არგენტინა) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3 6:1 3:6 1:6 *4:2-ზე გადაიდო*

ქალები

დინარა საფინა (14, რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) 6:3 7:5; **აი სუგიამა** (9, იაპონია) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:7 6:0 6:3; **მარიონ ბარტოლი** (25, საფრანგეთი) — აურელი ვედი (საფრანგეთი) 6:1 6:0; **ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:4 6:4; **ივეტა ბენეშოვა** (ჩეხეთი) — პაულინ პარმენტიე (საფრანგეთი) 7:5 6:3; მარია შარაპოვა (4, რუსეთი) — მაშონა ვაშინგტონი (აშშ) 6:2 5:7 7:5

ATP-ის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი
დიუსელდორფი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 1 764 706 $

ხორვატები თასებს აგროვებენ

ფინალი

ხორვატია 2 : 1 გერმანია

ივო კარლოვიჩი — ალექსანდერ ვასკე 7:6 6:4;
ივან ლიუბიჩიჩი — ნიკლას კიფერი 6:4 6:4;
ივო კარლოვიჩი, ივან ლიუბიჩიჩი — *ალექსანდერ ვასკე, მიხაელ კოლმანი* 6:7 3:6

ხორვატებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათ ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავთ. მერე რა, რომ თავისთვის ყველაზე უხერხულ საფარზე უწევდათ თამაში — მათთვის დაბრკოლება მაინც ვერ მოინახა.

ისე კი, მსოფლიოს გუნდური თასის არსებობის 29-წლიან ისტორიაში სულ მერვედ მოხდა, დევისის თასის მოქმედმა გამარჯვებულმა აქაც მოიგო.

ბალკანელები არც იმას შეუშინდნენ, რომ მასპინძლებთან უწევდათ თამაში და არც იმას, მცირე ტრავმის გამო მარიო ანჩიჩი რომ გამოაკლდათ. ანჩიჩის მაგივრად მოთამაშე 2-მეტრიანმა გიგანტმა ივო კარლოვიჩმა და ივან ლიუბიჩიჩმა ერთეულთა შეხვედრებშივე მოუთავეს საქმე შარშანდელ გამარჯვებულ მასპინძლებს და ხორვატიული ჩოგბურთის ხანმოკლე ისტორია კიდევ ერთი ლამაზი ფურცლით შეავსეს.

გერმანელებს კი აშკარად დაეტყოთ თავიანთი უპირობო ლიდერ ტომი ჰაასის არყოფნა, რომელმაც „როლან გაროსისთვის" უკეთ მომზადების მოტივით თქვა უარი დიუსელდორფში თამაშზე.

„ეს ფანტასტიკურია. კიდევ ერთი დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ. ყველას დავუმტკიცეთ, რომ თიხნარზე თამაშიც შეგვიძლია — მთავარი კი გუნდური სულია. რაც მთავარია, ჩვენ ძალიან ახალგაზრდული გუნდი ვართ. ყველაზე უფროსი მე გახლავართ და მეც მხოლოდ 27 წლის ვარ. მწამს, წინ კიდევ ბევრი ლამაზი წელი გველოდება" — ასეთი ემოციური იყო თამაშის შემდეგ ხორვატთა სული და გული ივან ლიუბიჩიჩი.

კაცები
პორტშახი. ავსტრია
თიხნარი
საპრიზო 380 000 $

ფინალი
ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) — 6:0 6:3

ქალები
სტრასბურგი. საფრანგეთი
თიხნარი
საპრიზო 175 000 $

ფინალი
ნიკოლ ვაიდიშოვა (2, ჩეხეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) 7:6 6:3

ქალები
სტამბული. თურქეთი
თიხნარი
საპრიზო 200 000 $

ფინალი
შაჰარ პირი (4, ისრაელი) — ანასტასია მისკინა (1, რუსეთი) 1:6 6:3 7:6

ჯირო დიტალია 2006. 6-28 მაისი

აფრიკაში, ბავშვით ხელში

ივან ბასომ იტალიური წრე შეკრა და ფრანგულისკენ გაიხედა



AFP

ივან ბასო

დაიბადა 1977 წლის 26 ნოემბერს

პროფესიონალია 1999 წლიდან

გუნდები

1999 — რისო სკოტი
2000 — ამიცა ჩიპსი
2001-03 — ფასა ბორტოლო
2004-დან — CSC

მოგებული აქვს 31 ეტაპი: 2000 წელს — 2, 2001 წელს — 3, 2002 წელს — 1, 2004 წელს — 6, 2005 წელს — 13, 2006 წელს — 6. აქედან ერთი „ტურ დე ფრანსზე" (2004), ხუთი — „ჯირო დიტალიაზე" (ორი 2005 წელს, სამიც წლევანდელ რბოლაში).

„ტურ დე ფრანსის" ორგზის ვიცე-ჩემპიონი (2004, 2005)

2006 წლის „ჯირო დიტალიას" გამარჯვებული

ბოლოს 1998 წელს იყო, ერთმა მრბოლმა ერთ სეზონში „ჯირო დიტალიაც" რომ მოიგო და „ტურ დე ფრანსიც". ეს მარკო პანტანიმ გააკეთა — უნიჭიერესმა ველოსპედისტმა და ტრაგიკულმა პიროვნებამ. მანამდე, 1992-93 წლებში მსგავსი დუბლი ზედიზედ ორჯერ დიდმა ესპანელმა მიგელ ინდურაინმა შეასრულა, 1987 წელს — ირლანდიელმა სტივ როშმა, ხოლო უფრო ადრე ლეგენდარულები — ბერნარ ინო და ედი მერქსი სჩადიოდნენ მსგავს სასწაულებს. და აი, პანტანის შემდეგ გამოჩნდა მრბოლი, ვისაც რეალურად ძალუძს ორი უდიდესი ველოტურის წყვილად მოგება. ეს ივან ბასოა, 28 წლის იტალიელი, რომელმაც ბრწყინვალე სტილში, აშკარა უპირატესობით იმარჯვა რიგით 89-ე „ჯიროზე" და დიდი შანსია, იგივე გააკეთოს საფრანგეთშიც. ყოველ შემთხვევაში, ბოლო ორი „ტურის" ვიცეჩემპიონი გერმანელ იან ულრიხთან, ყაზახ ალექსანდრ ვინოკუროვთან და ესპანელ ალეხანდრო ვალვერდესთან ერთად, უმთავრეს ფავორიტთა სიაში მოიაზრება და წყალი არ გაუვა — ბასო საფრანგეთში ყველაფერს იღონებს, რათა სანუკვარი დუბლი შეასრულოს და პანტანის შედეგი გაიმეოროს.

„ჯიროზე" კი დანიური CSC-ის ლიდერი ნამდვილად შეუდარებელი იყო. ბასომ სამი ურთულესი სამთო ეტაპი მოიგო და კონკურენტები, რომელთა შორისაც ძველი ჩემპიონები — ჯილბერტო სიმონი, პაოლო სავოლდელი და დამიანო კუნეგო იყვნენ, ახლოს არ გაიკარა.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ბასოს წარმატება ბოლოსწინა, მე-20 ეტაპზე. ეს იყო ურთულესი ეტაპი დოლომიტის ალპებში. ტრენტოდან აფრიკამდე პელეტონს 211 კმ. ჰქონდა გასავლელი და ამ გზაზე წლევანდელი „ჯიროს" უმაღლესი, ლეგენდარული ფაუსტო კოპის სახელობის 2618-მეტრიანი მთა იყო ალმართული. ეს ჯოჯოხეთური უღელტეხილი რბოლის მოწინავეებმა ერთად გადალახეს და ბასო და სიმონი ამის შემდეგლა გაიქცნენ წინ. ამ დუეტმა კარგა ხანს, თითქმის 40 კილომეტრი იარა ერთად და ბოლო, აფრიკის ალმართის დასაწყისში კი, ისევე როგორც მე-16 ეტაპზე, ბასო ერთბაშად მოწყდა სიმონის და წინ ქვემეხიდან გასროლილი ყუმბარასავით გავარდა.

სიმონი თითქოს ადგილზე გაშეშდა, ხოლო ბასომ თავისი ახალშობილი შვილის ფოტოსურათით ხელში ეულად უწია „აფრიკულ" ფინიშს.

მე-19 ეტაპი. 26 მაისი. პონტეჯინე — პასო დი სან პელეგრინო 224 კმ

1. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, ქვიკ სტეპი)	7 სთ. 13 წთ. 36 წმ.
2. იენს ფოიგტი (გერმანია, CSC)	+4 წმ.
3. ფრანსისკო ვილა (ესპანეთი, ლამპრე)	+4 წთ. 21 წმ.

მე-20 ეტაპი. 27 მაისი. ტრენტო — აფრიკა. 211 კმ

1. ივან ბასო (იტალია, CSC)	61 სთ. 51 წთ. 15 წმ.
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონი დიუვალი)	+ 1 წთ. 17 წმ.
3 დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე)	+ 2 წთ. 51 წმ.

21-ე ეტაპი. 28 მაისი. მაგრელო — მილანი 140 კმ.

1. რობერტ ფორსტერი (გერმანია, გეროლშტაინერი)	3 სთ. 56 წთ. 03 წმ.
2. აქსელ რიჩეზე (არგენტინა, პანარია)	იგივე დრო
3 ოლაფ პოლაკი (გერმანია, T-mobile)	იგივე დრო

საბოლოო მდგომარეობა

1. ივან ბასო (იტალია, CSC)	91 სთ. 33 წთ. 36 წმ.
2. ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი)	+9 წთ. 18 წმ.
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონი დიუვალი)	+11 წთ. 59 წმ.
4. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე)	+ 18 წთ. 16 წმ.
5. პაოლო სავოლდელი (იტალია, დისკოვერი)	+ 19 წთ. 2 წმ.

„ჯიროს" ბოლო 40 გამარჯვებული

1967 ფელიჩე ჯიმონდი (იტალია)
1968 ედი მერქსი (ბელგია)
1969 ფელიჩე ჯიმონდი (იტალია)
1970 ედი მერქსი (ბელგია)
1971 გოსტა პეტერსონი (შვედეთი)
1972 ედი მერქსი (ბელგია)
1973 ედი მერქსი (ბელგია)
1974 ედი მერქსი (ბელგია)
1975 ფაუსტო ბერტოგლიო (იტალია)
1976 ფელიჩე ჯიმონდი (იტალია)
1977 მიშელ პოლენტიერი (ბელგია)
1978 იოჰან დე მუინკი (ბელგია)
1979 ჯუზეპე სარონი (იტალია)
1980 ბერნან ინო (საფრანგეთი)
1981 ჯოვანი ბატაგლინი (იტალია)
1982 ბერნარ ინო (საფრანგეთი)
1983 ჯუზეპე სარონი (იტალია)
1984 ფრანჩესკო მოზერი (იტალია)
1985 ბერნარ ინო (საფრანგეთი)
1986 რობერტო ვისენტინი (იტალია)
1987 სტივ როში (ირლანდია)
1988 ენდრიუ ჰემპსტენი (აშშ)
1989 ლორან ფინიონი (საფრანგეთი)
1990 ჯანი ბუნიო (იტალია)
1991 ფრანკო კიოჩოლი (იტალია)
1992 მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1993 მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1994 ევგენი ბერზინი (რუსეთი)
1995 ტონი რომინგერი (შვეიცარია)
1996 პაველ ტონკოვი (რუსეთი)
1997 ივან გოტი (იტალია)
1998 მარკო პანტანი (იტალია)
1999 ივან გოტი (იტალია)
2000 სტეფანო გარძელი (იტალია)
2001 ჯილბერტო სიმონი (იტალია)
2002 პაოლო სავოლდელი (იტალია)
2003 ჯილბერტო სიმონი (იტალია)
2004 დამიანო კუნეგო (იტალია)
2005 პაოლო სავოლდელი (იტალია)
2006 ივან ბასო (იტალია)

საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

20 მაისი — 4 ივნისი. ტურინი (იტალია)

VI ტური

კაცები

შოტლანდია 1:3 საქართველო

ჯონათან როუსონი 0,5:0,5 გიორგი ყაჭეიშვილი
კოლინ მაკნაბი 0:1 მერაბ გაგუნაშვილი
იაკობ ააგაარდი 0,5:0,5 თამაზ გელაშვილი
იაინ გორლეი 0:1 დავით არუთუნიანი

ჰოლანდია 2,5:1,5 რუსეთი
სომხეთი 2,5:1,5 უზბეკეთი
შვედეთი 2,5:1,5 ბულგარეთი
უკრაინა 2,5:1,5 ირანი

ქალები

საქართველო 2:1 საფრანგეთი

ნინო ხურციძე 0:1 ალმირა სკრიპჩენკო
ნანა ძაგნიძე 1:0 მარია ლეკონტი
ლელა ჯავახიშვილი 1:0 სოფო მილე

რუსეთი 2:1 უნგრეთი
ესპანეთი 1:2 უკრაინა
მონღოლეთი 2:1 აშშ
რუმინეთი 2:1 სომხეთი

ჰოლანდიამ რუსეთი შეაჩერა და სომხეთი გაუშვა

ნანა ძაგნიძე

მეექვსე ტურში რუსთა უძლიერესმა ნაკრებმა ჰოლანდიელებთან 1,5:2,5 წააგო და პირველზე სომხები აუშვა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მეოთხე დაფაზე მოთამაშე სერგეი რუბლევსკიმ დაალალატა, რომელმაც ფრისო ნიბოერთან დათმო ქულა და გუნდსაც პირველი ადგილი დააკარგვინა.

ტოტალიზატორებმა რუსებს ოლიმპიადის მოგებაზე კუში ოდნავ აუწიეს და 1,54 გაუხადეს, მეორეზე კი კვლავ სომხეთი დატოვეს 6,6 კოეფიციენტით.

ამერიკელებთან წაგების შემდეგ ქართველმა დიდოსტატებმა შოტლანდიელებს მოუგეს 3:1 და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესეს. ჩვენებს მოსაგები ქულები მეორე და მეოთხე დაფაზე მოთამაშე მერაბ გაგუნაშვილმა და დავით არუთინიანმა მოუტანეს. გაგუნაშვილი კოლინ მაკნაბს თეთრი ფიგურებით დაუპირისპირდა. ქართველმა დებიუტში პაიკები გააქტიურა, ცენტრში განალაგა და ხელმწიფის ფლანგიდან მიაწვა. შოტლანდიელმა ლაზიერის ფლანგიდან განავითარა იერიში, მანაც პაიკები დაქოქა და თეთრების ჩასათვლელ ხაზს მიუახლოვდა. გაგუნაშვილმა დიდი ბრძოლის შემდეგ მოიგერია მეტოქე, ეტლებით მანევრებს მიმართა და 54-ე სვლაზე გამარჯვებაც გამოაცხო.

ბევრი იბრძოლა არუთინიანმაც და გამარჯვებისა 41-ე სვლაზე დაატყო.

სატურნირო მდგომარეობა ჩვენმა მანდილოსნებმაც გამოასწორეს, ფრანგებთან მოგების შემდეგ ისინი მე-11 ადგილზე აღზევდნენ და მედლების მოპოვების შანსს კვლავაც ინარჩუნებენ. ქართველებიდან ნანა ძაგნიძემ და ლელა ჯავახიშვილმა მოიგეს. მარია ლეკონტის წინააღმდეგ ძაგნიძე შავი ფიგურებით გავიდა და თამაში სიცილიური დაცვით არჩია. ძაგნიძემ ჯერ ლაზიერის მხრიდან დაარტყა მეტოქეს, შემდეგ კი ხელმწიფის ფლანგიდან და გამარჯვება 42-ე სვლაზე აღნიშნა.

ლაშა გეგეჭკორი

სატურნირო მდგომარეობა ოთხი ტურის შემდეგ

კაცები

1. სომხეთი	18 ქულა
2. ჰოლანდია	17,5
3. რუსეთი	17
4. ბელარუსი	17
5. უკრაინა	16,5
6. საქართველო	16

ქალები

1. რუსეთი	14,5
2. უკრაინა	14
3. სლოვაკეთი	13,5
4. აშშ	13
5. რუმინეთი	13
11. საქართველო	12

VII ტური

კაცები

საქართველო 3:1 პოლონეთი

ბაადურ ჯობავა 1:0 ბართოშ სოცკო
გიორგი ყაჭეიშვილი 0:1 რობერტ კემპინსკი
თამაზ გელაშვილი 1:0 მათეუშ ბარტელი
დავით არუთინიანი 1:0 რადოსლავ ვოჟტასზეკი

ქალები

მონღოლეთი 0:3 საქართველო

დულამსურენ იანჯინდულამი 0:1 ნინო ხურციძე
ზორიგტ ბავარა 0:1 ნანა ძაგნიძე
ბარანმონ ანჩიმეგი 0:1 მაია ლომინეიშვილი

ᲞᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ 2006

ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲨᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲡ

26-27 მაისი

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 2:2 ᲑᲣᲤᲐᲚᲝ

ᲑᲣᲤᲐᲚᲝ 0:4 ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ

0:2 0:1 0:1

0:1 რეკი (7), 0:2 სტაალი (10), 0:3 ლედი (23), 0:4 ჰედიკანი (57)

„კაროლინას“ წარმატების საწინდარი მეკარის მოულოდნელი ცვლილება და მეტოქის ტრავმიანობა გახლდათ. წინა მატჩში მარტინ გერბერი კემ უორდის ნაცვლად რომ გამოვიდა ყინულზე, მას შემდეგ ერთი შაიბაც არ გაუშვა და გუნდის თავკაცებს შეახსენა, ვინ იყო „კაროლინას“ პირველი მეკარე მთელი სეზონის განმავლობაში. ამიტომაც ეს მატჩი ისევ გერბერმა დაიწყო და „ბუფალოს“ მოთამაშეებმა მის კარს კვლავაც ვერ მოუძებნეს გასაღები. მართალია, გერბერს არცთუ ბევრი, 22 დარტმის მოგერიება დასჭირდა, მაგრამ მათგან ერთი მესამედი მაინც რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა. ტრავმის გამო კი მასპინძლებს ერთბაშად სამი მცველი დაკლდათ, მათ ნაცვლად გამოსულმა ახალბედებმა — ჯილსონმა და ანიკმა კი ვერ გაუძლეს ბრძოლის სიმძაფრეს და შეცდომებით დალუპეს გუნდი. სტუმართა ლიდერმა ერიკ სტაალმა კი მორიგი გოლით ქულიანი სერია 14 თამაშამდე გაზარდა, რაც სულ ოთხით ჩამორჩება ლიგის რეკორდს.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ 1:4 ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ

ᲐᲜᲐᲰᲔᲘᲛᲘ 1:2 ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ

1:0 0:2 0:0

1:0 ბიუშმინი (8), 1:1 მორო (24), 1:2 ტორესი (29)

სასწაული შედგა. რაც პლეი ოფში გათამაშების ამჟამინდელი სისტემა შემოიღეს (ანუ 14 წელია), ფინალში პირველად გავიდა ის გუნდი, რომელიც თასზე თავისი კონფერენციის ბოლო, მერვე საპლეიოფო ადგილიდან მოხვდა. „ეს გუნდი ძალიან მაგონებს 1990 წელს ფინალში გასულს. ამას მაშინაც არავინ ელოდა და ასევე შედეგიანად ვთამაშობდით შეტევაში. ასეთივე ბრწყინვალე მეკარე გვყავდა“ — თქვა ნამატჩევს „ილერსის“ თავკაცმა კრეიგ მაკტავიშმა, რომელიც 16 წლის წინ (ანუ ბოლოს, როდესაც „ედმონტონი“ ფინალში გავიდა) იმ გუნდის შემადგენლობაში იყო. ალბათ, სწორედ მაკტავიშის მიერ ხსენებულმა ფაქტორებმა და ასევე აღებული ტაქტიკის უსიტყვო შესრულებამ ითამაშა მთავარი როლი სამი სერიის მოგებაში და, მათ შორის, „ანაჰიმის“ ძლევაში. მთელი ამ ხუთი მატჩის განმავლობაში „ანაჰიმი“ თითქოს არ გამოიყურებოდა მეტოქეზე უფრო სუტ გუნდად, უკლებლივ ყველა თამაშში გაკლებით მეტს ურტყამდა და მეტ მომენტებს ქმნიდა. გართულებულად ბედმაც უმტყუნა „იხვებს“. თუნდაც ეს მატჩი ავიღოთ. წარმოუდგენელია, როგორ ვერ შეძლეს ძმებმა ნიდერმაიერებმა რაღაც ოცი წამის განმავლობაში ორი სუფთა საგოლე მომენტის გამოყენება, არც ერთის არავინ უშლიდა, მაგრამ კარს ერთნაირად აცილეს. თუმც მთლიანობაში „ედმონტონი“ უფრო იმსახურებდა ფინალში გასვლას, მით უმეტეს, რომ ბოლო სამი მატჩი „მენავთობეებმა“ გრიბის ეპიდემიის ფონზე ჩაატარეს, რის გამოც ათიოდე მოთამაშიდან ზოგმა ვერ შეძლო მატჩში მონაწილეობა, ზოგიც სიცხიანი ასპარეზობდა (მათ შორის, ბრწყინვალე მეკარე დუკინ როულსონი), მაგრამ „ილერსმა“ ისეთი თავგანწირვა აჩვენა, რომ მეტოქეც კი გაოცა. „არასოდეს მინახავს, რომ გუნდმა ამდენი დარტყმის ბლოკირება შეძლოს“ — თქვა „ანაჰაიმის“ ლიდერმა ტეემუ სელანნემ და მას, ალბათ, ყველა დაეთანხმება, ვისაც ამ სერიის ყურების საშუალება მიეცა.

ᲡᲐᲛᲔᲤᲔᲚ ᲦᲐᲠᲘᲑᲘᲐᲜᲘ

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1. 57-Ე ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲑᲐᲠᲝᲜᲘ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲬᲐᲠᲔᲓ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲡ

ᲓᲘ-ᲡᲘᲛ ᲝᲠᲐᲡᲘ ᲓᲐᲐᲛᲠᲒᲕᲐᲚᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲐᲡᲕᲔᲚᲐ



AFP მონტე კარლოდან

დევიდ კულჰარდმა ისუპერმენა და საიუბილეო რბოლა პოდიუმზე დაასრულა

ᲞᲠᲘᲕᲘᲡ ᲔᲜᲐᲖᲔ რომ ვთქვათ, მიხაელ შუმახერი შაბათს, საკვალიფიკაციო სესიის მიწურულს, ნოკდაუნში აღმოჩნდა და უმძიმესი დარტყმის მიღების შემდეგ გუშინ ბრძოლა კი გააგრძელა, მაგრამ გამარჯვების იოტისოდენა შანსის გარეშე.

რა თქმა უნდა, მომხდარში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი თავადაა დამნაშავე, თუმც „მტრებმა“ ინციდენტი უსაშველოდ გაბერეს — შუმახერმა ეს შეგნებულად გააკეთაო. მავანმა რადიკალებმა ხმამაღლა ისიც მოითხოვეს, მიხაელმა ამის შემდეგ მრბოლთა პროფკავშირების პრეზიდენტის პოსტი უნდა დატოვოსო. პრაქტიკულად ყველა „ანტიშუმი“ მის მკაცრად დასჯას მოითხოვდა და აკი ასე მოხდა კიდეც.

ახლა კი მონტე კარლოში იმ საშაბათო ამბავზე. ალბათ „სამეფო რბოლების“ უმრავლესმა ქომაგმა იხილა საკვალიფიკაციო საათი, როცა პირველი ორი „სერია“ მაკლარენელმა კიმი რაიკონენმა მოიგო, დასკვნით, მესამე ნაწილში კი ყველაზე სწრაფი მიხაელის „ფერარი“ იყო.

ჩემპიონი და მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერი ფერნანდო ალონსო შუმახერთან მხოლოდ წამის მეათედს აგებდა და, ბუნებრივია, დასკვნითი 20-წუთიანი სესიის მიწურულს ჩამორჩენის გაბათილებას და წინ გასვლასაც აპირებდა. ამიტომაც კიდევ ერთხელ გაჭრა ტრასაზე, ისევე, როგორც თავად მიხაელი და კიდევ სხვა სამი-ოთხი პილოტი.

სწორედ მაშინ იყო, რომ ბოლოსწინა მოსახვევში შუმახერის ბოლიდს წინა მარჯვენა ბორბალი გაეჭედა, რის გამოც „ფერარი“ შუა გზაზე გახევდა. ამას კი, მოგვიანებით, უკანმავალთა ბუნებრივი რეაქცია მოჰყვა — მიხაელის გაჩერებამ სწრაფი წრე გაგვიფუჭაო.

შედეგად, ალონსო შუმახერს სულ რაღაც ექვსი მეასედი წამით ჩამორჩა და უკმაყოფილო იყო, მოსახვევში მისი გაჩხერილი მანქანა რომ არა, პოულ-პოზიცია აუცილებლად ჩემი იქნებოდაო.

მართალია, ოფიციალური პროტესტი არავის შეუტანია, მაგრამ თავად ეტაპის სტიუარდებმა შუმახერი „ხალიჩაზე“ გამოიძახეს და ფაქტის უმკაცრესი განხილვისას „სიმართლის დასადგენად“ ვიდეოფირი და მანქანის ტელემეტრიული ჩანაწერები უამრავჯერ დაატრიალეს.

საქმის გარჩევა თითქმის რვა საათს გაგრძელდა. ვერდიქტი ულმობელი იყო: ტრასის იმ უბანზე ამგვარი ზედამუხრუჭებისთვის შუმახერს არანაირი მიზეზი არ ჰქონია, ამან კი გამოიწვია გზაზე მის მიერ „ფერარის“ განზრახ გაჩერება და სხვებისთვის ხელის შეშლა.

ერთი სიტყვით, მიხაელ შუმახერს ყველა სწრაფი წრის შედეგი გაუუქმდა, ნულზე დარჩა და რბოლის ბოლო, 22-ე პოზიციიდან დაწყება მოუხდა.

მომხდარის გამო სტარტზე ყველაზე წინ ალონსო დადგა და ფანტასტიკური „რენოს“ შემძლეობით, როგორც დაიწყო ბრძოლა პირველმა, ფინიშამდე მეწინავეობა არავის დაუთმო. ალონსომ ეს გამარჯვება ორიოდე დღის წინ „მიშლენის“ ტრაგიკულად დაღუპული ბოსის ედუარდ მიშლენის ხსოვნას მიუძღვნა.

მაკლარენელი კიმი რაიკონენი ჩემპიონს დიდხანს ტოლ-სწორად ებრძოდა და რამდენჯერმე გასასწრებადაც შეუტია, თუმც ბოლომდე ვერ გაძლო — „მერსედესის“ ძრავა დაეწვა.

თავიდანვე უშუმოდ დარჩენილ ნანდოს თანდათან სხვა მდევრებიც შემოეცალნენ და მონაკოური დიდი პრიზის პირველად დასაკუთრებაც არ გასჭირვებია. მიხაელმა კი ლიდერებისგან განსხვავებული, მხოლოდ ერთი პიტსტოპის ხარჯზე დიდად იხეირა და ფინიშის ხაზი მეხუთემ გადაჭრა.

იყოჩალა ხუან-პაბლო მონტოიამ, რომელიც მონაკოში „მაკლარენის“ საიუბილეო, მე-40 რბოლაში პოდიუმის მეორე საფეხურზე შედგა.

გამორჩეულად კი „რედ ბულის“ მძღოლ დევიდ კულჰარდის სწორედ რომ გმირობა უნდა აღინიშნოს. „დი-სი“ სტარტზე მხოლოდ მეშვიდე იდგა, ამდენად მისგან მაღალ შედეგს არავინ ელოდა, მაგრამ 35 წლის შოტლანდიელმა ბრწყინვალედ ივირითა და თავის 13-წლიანი კარიერის ზესაიუბილეო, მე-200 რბოლა პოდიუმის მესამე საფეხურზე დაასრულა.

ᲖᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

ᲠᲑᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ
28 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲛᲝᲜᲢᲔ ᲙᲐᲠᲚᲝ
დისტანცია 78 წრე — 260,520 კმ

1.	(1)	ალონსო (რენო)	1:43.43,1 (150,7 კმ/სთ)	
2.	(4)	მონტოია (მაკლარენი)	ჩამორჩა	14,6
3.	(7)	კულჰარდი (რედ ბული)		52,3
4.	(5)	მარიკელო (ჰონდა)		53,3
5.	(22)	მ.შუმახერი (ფერარი)		53,8
6.	(9)	ფიზიჭელა (რენო)		102,1
7.	(15)	ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი)	1 წრით	
8.	(10)	რ.შუმახერი (ტოიოტა)	1 წრით	
9.	(21)	მასა (ფერარი)	1 წრით	
10.	(12)	ლიუზი (ტორო როსო)	1 წრით	
11.	(13)	ბატონი (ჰონდა)	1 წრით	
12.	(16)	ალბერსი (MF 1)	1 წრით	
13.	(18)	სპიდი (ტორო როსო)	1 წრით	
14.	(14)	ვილნევი (BMW-ზაუბერი)	1 წრით	
15.	(17)	მონტეირო (MF 1)	2 წრით	
16.	(20)	მონტანი (სუპერ აგური)	3 წრით	
17.	(6)	ტრული (ტოიოტა)	5 წრით	

რბოლას გამოეთიშნენ

(11)	კლიენი (რედ ბული)	გაიარა 57 წრე	
(8)	როსბერგი (უილიამსი)	52	
(3)	რაიკონენი (მაკლარენი)	50	
(2)	ვებერი (უილიამსი)	48	
(19)	სატო (სუპერ აგური)	46	

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

პოული
ალონსო — 1:14,232 (162,0 კმ/სთ)

საუკეთესო წრე
მ. შუმახერი — 1:15,143 (160,0 კმ/სთ)

		12 მარტი	19 მარტი	2 აპრილი	23 აპრილი	7 მაისი	14 მაისი	28 მაისი	11 ივნისი	25 ივნისი	2 ივლისი	16 ივლისი	30 ივლისი	6 აგვისტო	27 აგვისტო	10 სექტემბერი	1 ოქტომბერი	8 ოქტომბერი	22 ოქტომბერი	ჯამი
1	ალონსო, რენო, ესპანეთი	10	8	10	8	8	10	10												64
2	მ. შუმახერი, ფერარი, გერმანია	8	3	–	10	10	8	4												43
3	ფიზიჭელა, რენო, იტალია	–	10	4	1	3	6	3												27
4	რაიკონენი, მაკლარენი, ფინეთი	6	–	8	4	5	4	–												27
5	მონტოია, მაკლარენი, კოლუმბია	4	5	–	6	–	–	8												23
6	მასა, ფერარი, ბრაზილია	–	4	–	5	6	5	–												20
7	ბატონი, ჰონდა, დ. ბრიტანეთი	5	6	–	2	–	3	–												16
8	ბარიკელო, ჰონდა, ბრაზილია	–	–	2	–	4	2	5												13
9	რ. შუმახერი, ტოიოტა, გერმანია	–	1	6	–	–	–	1												8
10	ჰაიდფელდი, BMW ზაუბერი, გერმანია	–	–	5	–	–	1	2												8

ქულარი — 7, ვებერი, ვილნევი — 6, როსბერგი — 4, კლიენი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲗᲐ ᲗᲐᲡᲘ: *რენო — 94, ფერარი — 63, მაკლარენი — 50, ჰონდა — 29, BMW ზაუბერი — 14, უილიამსი — 10, ტოიოტა, რედ ბული — 8 ქულა*

AFP ბელგრადიდან

AFP ჟენევიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ჟენევიდან

სებასტიან კელმა მესაათეობა დაიწყო. რატომ? ბუნდესნაკრები ახლა შვეიცარიაშია, იქაური საათების ამბავი კი მოგეხსენებათ.

სერბეთის ლიდერი ვიოსლავ კოშტუნიცა ხალხს ფედერაციის პრეზიდენტის ნაჩუქარ მაისურას უჩვენებს და ამით გამოხატავს მთავრობისა და ნაკრების ერთიანობას. აი, რონალდო კი თითს უჩვენებს კადრს მიღმა დარჩენილ პიროვნებას თუ პიროვნებებს. რატომ? ეს კი არ ვიცით. სხვა რონალდუ, პორტუგალიელი კრიშტიანუ, უქალალდო ფანს მაისურაზე უტოვებს ფაქსიმილეს, რობერტო კარლოსის თავში კი ამ დროს ამაოდ ეძებენ ტილებს.

AFP ჟენევიდან

AFP ლისაბონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge